



*Your complimentary
use period has ended.
Thank you for using
PDF Complete.*

[Click Here to upgrade to
Unlimited Pages and Expanded Features](#)

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის
რეფორმის სტრატეგია

(2004 წლის 19 ოქტომბრის №914
პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე შექმნილი სამუშაო ჯგუფი)

თბილისი
2005

წინასიტყვაობა

საქართველოს პრეზიდენტის N914 განკარგულების რომლის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის სტრატეგიის შემუშავება. აღნიშნული ჯგუფი მუშაობდა საქართველოში ევროკავშირის კანონის უზენაესობის მისიის EUJUST THEMIS-ის მხარდაჭერით.

სტრატეგიის მთავარ მიზანს წარმოადგენს სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმირების ძირითადი პრინციპებისა და მიმართულებების შემუშავება საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების შესაბამისად.

სტრატეგია აქცენტს აკეთებს შემდეგ ასპექტებზე: კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებები, მათ შორის, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში; სისხლის სამართლის ძირითადი ინსტიტუტების კომპეტენციისა და ორგანიზაციის რეფორმირება და იურიდიული განათლებისა და ტრენინგის სისტემის დახვეწა.

სამუშაო ჯგუფმა ჩამოაყალიბა 9 ქვეჯგუფი, კერძოდ: 1) საპოლიციო ორგანოების და დანაშაულის პრევენციის ქვეჯგუფი; 2) პროკურატურის ქვეჯგუფი; 3) ადვოკატურისა და სამართლებრივი დახმარების სისტემის განვითარების ქვეჯგუფი; 4) სასამართლო ხელისუფლების ქვეჯგუფი; 5) სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსების რეფორმის ქვეჯგუფი; 6) სასჯელაღსრულებითი სისტემის რეფორმის ქვეჯგუფი; 7) სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის რეფორმის ქვეჯგუფი; 8) სახალხო დამცველის რეფორმის ქვეჯგუფი; 9) იურიდიული განათლების რეფორმის ქვეჯგუფი. ქვეჯგუფებს დაევალიათ თავიანთ სფეროებში რეფორმის კონცეფციის შემუშავება.

აღნიშნული სტრატეგია წარმოადგენს ქვეჯგუფების მიერ მომზადებული კონცეფციების კონსოლიდირებულ ვერსიას, რომელიც მიღებულ იქნა სამუშაო ჯგუფის მიერ.

სტრატეგიის რეალიზაციისათვის ჩამოყალიბდება მმართველი ჯგუფი, რომლის ზედამხედველობით შემუშავდება სტრატეგიის იმპლემენტაციის პროგრამა. მმართველ ჯგუფს ასევე დაეკისრება კოორდინატორის როლი. იმპლემენტაციის პროგრამა უნდა მოიცავდეს კონკრეტული ქმედებების ნუსხას, მათი განხორციელებისათვის საჭირო დროის ჩარჩოებს, პასუხისმგებელ ორგანოებს, მატერიალური, ფინანსური და ადამიანური რესურსების მოძიების გზებს.

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის სტრატეგია გათვლილია 4-5 წელზე. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია აღნიშნული სტრატეგიის განახლება.

საპროცესო კანონმდებლობის რეფორმა მიმართულია როგორც შეჯიბრებითობის პრინციპის განმტკიცებისა, ასევე ქართული მართლმსაჯულების პირობებში, ისე მართლმსაჯულების სისტემის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და ევროპული სტანდარტებთან სრული შესაბამისობის უზრუნველყოფისაკენ. სისხლის სამართლის პროცესის რეფორმა ეყრდნობა მთელ რიგ ფუძემდებლურ პრინციპებს, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია:

- სისხლის სამართლის პროცესის შეჯიბრებითობის პრინციპის სრულყოფილად გატარება, როგორც წინასწარი გამოძიების, ასევე საქმის სასამართლოში განხილვის სტადიაზე; წინასწარი გამოძიების შეკვეცა და მთავარი აქცენტის გადატანა სასამართლო განხილვაზე;
- პირის მიერ ბრალდებულის სტატუსით და შესაბამისი უფლებებით სარგებლობა მის მიმართ ნებისმიერი საგამოძიებო მოქმედების გატარებიდან საბოლოო განაჩენის გამოტანამდე;
- გამოძიების სავალდებულოება დანაშაულის ნებისმიერ ფაქტზე აუცილებელი რეაგირების გზით;
- პროკურორის როლის შეზღუდვა მხოლოდ სისხლის სამართლებრივი დევნით და დევნის დისკრეციულობის პრინციპის განმტკიცება;
- ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის გადმოტანა წინასასამართლო გამოძიების სფეროში და მოსამართლის მკაცრ კონტროლს დაქვემდებარება;
- წინასწარი გამოძიების პროცესში ბრალდებულის უფლებათა დაცვის ზედამხედველობისათვის მოსამართლის როლის კიდევ უფრო გაძლიერება;
- წინასწარი პატიმრობის გამოყენების მაქსიმალურად შეზღუდვა და უპირატესობის მინიჭება არასაპატიმრო, ალტერნატიული ღონისძიებებისათვის, ასევე წინასწარი პატიმრობის ვადების შემცირება;
- მოწმის მიერ ჩვენების მიცემის ნებაყოფლობითობა წინასწარი გამოძიების დროს;
- წინასწარი სასამართლო განხილვის სამართალწარმოების ცალკე სტადიად ჩამოყალიბება;
- სასამართლო გამოძიების აგება მტკიცებულებების გამოკვლევის უშუალობისა და ზეპირობის პრინციპზე;
- ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესის პრინციპის ამოქმედება;
- საქმის სააპელაციო და საკასაციო წესით განხილვისათვის, საჩივრის დასაშვებობის ინსტიტუტის შემოღება.

ზოგადი დებულებები

საპროცესო კოდექსი აგებული იქნება პირთა კანონის წინაშე თანასწორობის, მათი პატივისა და ღირსების დაცვის, სამართლიანი, სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის, უდანაშაულობის პრეზუმფციის, პირის კონსტიტუციურ უფლებათა სრული დაცვის პრინციპებზე.

საპროცესო კოდექსი გაითვალისწინებს მტკიცებულებების დასაშვებობის სტანდარტს. მტკიცებულება დაუშვებელია, თუ მისი მოპოვება მოხდა საპროცესო წესების არსებითი დარღვევით.

სისხლის სამართლის საპროცესო ვადები დარეგულირდება ცალკე თავით, რომელიც მოიცავს ზოგადი ხასიათის დებულებებს ვადების სახეებისა და მათი განსაზღვრისა თუ გამოთვლის წესებს. “გონივრული ვადის” სტანდარტი გამოიყენება მხოლოდ კოდექსით განსაზღვრულ შემთხვევებში, ხოლო ვადების აბსოლუტური უმეტესობა იქნება მკაცრად განსაზღვრული.

კოდექსის მრავალ დებულებაში ასახული იქნება პროპორციულობის პრინციპი. პირველ რიგში, პროპორციულობის პრინციპი გამოიყენება ადამიანის უფლებათა შეზღუდვის ფარგლების განსაზღვრის დროს. ამასთანავე, კოდექსი გაითვალისწინებს სპეციალური წარმოების სახეებს გარკვეული კატეგორიის დანაშაულების მიმართ, როგორცაა, მაგალითად, გამოძიების შეწყვეტა მოვალეობათა დაკისრებით და საპროცესო შეთანხმება.

ბრალდებულის

კოდექსი, არსებული კანონმდებლობისაგან განსხვავებით, გაითვალისწინებს ბრალდებულის სტატუსის ახლებურ, პროგრესულ გაგებას. პირს მიეცემა ბრალდებულის სტატუსი და იგი შეიძენს ბრალდებულის უფლებებს, თუ მას წარედგინება ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, თუ მას დააკავებენ ამ კანონის საფუძველზე და დადგინდეს წესით, ან მის მიმართ განხორციელდება კოდექსით გათვალისწინებული სხვა

ბრალდებულის სტატუსით და უფლებებით ავტომატურად მის მიმართ მიმდინარე სისხლისსამართლებრივი დევნის მევა კანონიერ ძალაში.

ა მის მიმართ წარმოებული გამოძიების, არსებული ეჭვის ფარული. ფარული გამოძიება შეზღუდული იქნება გარკვეული ვადებით.

ბრალდებულს უფლება ექნება, ნებისმიერ დროს გაეცნოს საქმის მთლიან მასალებს და მოითხოვოს საქმის მასალების ასლი, ასევე დაათვალიეროს მტკიცებულებები, რომლებიც საქმეს განეკუთვნებიან. ბრალდებულს შეიძლება უარი ეთქვას საქმის მასალების ნაწილის გაცნობაზე, თუ არსებობს მნიშვნელოვანი საფრთხე, რომ საქმის მასალების გაცნობა გამოძიების შემდგომ წარმოებას არსებითად ხელს შეუშლის, რაც გამოიხატება ადამიანის სიცოცხლის ან ჯანმრთელობის მიმართ, სახელმწიფო უშიშროების ინტერესებისათვის ან არსებითი მტკიცებულების განადგურების მნიშვნელოვანი საფრთხის არსებობაში.

ბრალდებულს უფლება ექნება, საკუთარი ხარჯებით, თვითონ ან დამცველის დახმარებით მოიპოვოს მტკიცებულებები. მოცემული უფლების განხორციელების მიზნით ბრალდებული შუამდგომლობით მიმართავს მოსამართლეს. იგი უფლებამოსილია, ამ მიზნით გამოავლინოს და გამოკითხოს ნებისმიერი პირი, გამოითხოვოს დოკუმენტები სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებიდან, ჩაატაროს ნებისმიერი სახის ექსპერტიზა, მოიპოვოს წერილობითი დასკვნა. ამ გზით მოპოვებულ მტკიცებულებას თანაბარი ძალა აქვს ბრალდების მხარის მიერ მოპოვებულ მტკიცებულებასთან.

ბრალდებულის დამცველი

დამცველს უფლება ექნება, ისარგებლოს ბრალდებულის ყველა უფლებით და მისთვის აწარმოოს საპროცესო მოქმედებები. დამცველი ვერ ისარგებლებს იმ უფლებებით, რომლებითაც თვით ამ უფლებათა ბუნებიდან გამომდინარე, შეიძლება მხოლოდ უშუალოდ თვით ბრალდებულმა ისარგებლოს. დამცველს უფლება არ ექნება, საჩივარი ბრალისა და სასჯელის ნაწილში ბრალდებულის ნების საწინააღმდეგოდ წარადგინოს ან გამოიტანოს.

სავალდებულო დაცვა განხორციელდება თუ ბრალდებული, ინდივიდუალური ნაკლის გამო (ფიზიკური, ფსიქიკური და ა.შ.) ვერ ახორციელებს თავის დაცვას, თუ მას წარედინება საპროცესო შეთანხმება, თუ სისხლის სამართლის კოდექსი მის წინააღმდეგ ითვალისწინებს უვადო თავისუფლების აღკვეთას ან არსებობს საპროცესო კოდექსით მკაცრად განსაზღვრული სხვა შემთხვევა. ბრალდებულს, სავალდებულო დაცვის შემთხვევაში, დამცველს დაუნიშნავს პროკურორი ან სასამართლო. პროკურორის მიერ დამცველის დანიშვნაზე უარის თქმა გასაჩივრდება სასამართლოში.

უფასო იურიდიული დახმარების გაწევა მოხდება პროცესის ნებისმიერ სტადიაზე, ბრალდებულის გადახდის უუნარობის, ან კოდექსით გათვალისწინებული სავალდებულო დაცვის შემთხვევის არსებობისას. სახელმწიფო გაიღებს უფასო იურიდიული დახმარების ხარჯებს.

მოწმისა და დაზარალებულის სპეციალური დაცვის ზომები

კოდექსის მნიშვნელოვანი ნოვაცია იქნება მოწმისა და დაზარალებულის დაცვის სპეციალური ზომების გამოყენების ფართო შესაძლებლობები, რომლის მარეგულირებელი დებულებები დაჯგუფებული იქნება ცალკე თავში. მოწმისა და დაზარალებულის დაცვის სპეციალური ზომები ძირითადად მიმართული იქნება მათი პატივისა და ღირსების და უსაფრთხოების დაცვაზე იმგვარად, რომ არ შეიზღუდოს დაცვის უფლებები.

დაცვის უფლებები შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონით მკაცრად რეგლამენტირებულ შემთხვევებში, როდესაც მოწმეს ან დაზარალებულს განსაკუთრებული საფრთხე ემუქრება. დაცვის სპეციალური ზომების გამოყენების პროცედურა ხორციელდება მოსამართლის (სასამართლოს) მკაცრი კონტროლის ქვეშ.

წინასწარი გამოძიება

გამოძიება იქნება ერთიანი, სავალდებულო პროცესი, რომელიც დაიწყება დანაშაულის ფაქტზე რეაგირებით და დამთავრდება საქმის სასამართლოში გადაცემისთანავე. გამოძიების დაწყება სავალდებულოა. გამოძიება წარიმართება განუსაზღვრელი ვადით და გაიმძღვნება სისხლისსამართლებრივი დევნისაგან (ანუ როდესაც საქმეში არსებობს ბრალდებული).

შეშლის გამოსაძიებლად ჩაატაროს ყველა საჭირო
დღეებზე იქნება, დაემორჩილოს პროკურორის მითითებებს
თი შუამდგომლობით, როდესაც საგამოძიებო მოქმედების
ხმობას. დაკავების საფუძვლის არსებობის შემთხვევაში,

გამომძიებელი უფლებამოსილი იქნება, დააკავოს ბრალდებული.

ახალი საპროცესო კოდექსით გამოძიებას განახორციელებს არა მხოლოდ შინაგან საქმეთა
სამინისტროს გამომძიებელი, არამედ საგამოძიებო ქვემდებარეობა დანაწილდება დანაშაულთა
კატეგორიებისა და სპეციფიკის მიხედვით სხვადასხვა სახელმწიფო უწყებას შორის. სხვადასხვა
უწყებას ეყოლება თავისი გამომძიებლები საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით.

გამომძიებას უხელმძღვანელებს პროკურორი, რომელიც გამომძიებელს დაავალბს
ბრალდებისათვის საჭირო მტკიცებულებების მოპოვებას; ამასთანავე, გადაუდებელ საგამომძიებო
მოქმედებებს ჩაატარებს გამომძიებელი. პროკურორის სახელმძღვანელო როლი გამოძიების
პროცესში გამოიხატება შემდეგში: გამოძიების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღება,
ბრალის წაყენება, უფლების შემზღვეველი საგამომძიებო თუ იძულების ღონისძიების
შუამდგომლობით სასამართლოსადმი მიმართვა, საპროცესო შეთანხმების დადება და სხვა.
პროკურორი ვალდებული იქნება ობიექტურად უხელმძღვანელოს გამოძიებას, როგორც ბრალდების,
ისე დაცვის ინტერესების სასარგებლოდ.

ბრალდების მხარის მიერ წარმოებული საგამომძიებო მოქმედებები მკაცრად იქნება
განსაზღვრული კანონით. ამასთანავე, დაცვის მხარეს შეეძლება ჩაატაროს ნებისმიერი საგამომძიებო
მოქმედება, რომელიც აკრძალული არ იქნება კანონით.

წინასწარ გამოძიებაში მოწმეს ექნება უფლება – და არა ვალდებულება – მისცეს ჩვენება
დანაშაულთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში, მოწმის ჩვენების სავალდებულობა და უშუალობა
სრული მოცულობით განხორციელდება მხოლოდ მოსამართლის წინაშე. ამასთანავე, მოწმის
წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენების ნებაყოფლობითობის პრინციპი გაითვალისწინებს
გამონაკლისებს გარკვეული კატეგორიის საზოგადოებრივად განსაკუთრებით საშიში დანაშაულების
მიმართ, როგორცაა ტერორიზმი, ორგანიზებული დანაშაული და კორუფციული დანაშაული.
წინასწარ გამოძიებაში მოწმე სავალდებულო წესით ჩვენებას მისცემს თავისუფლების მოსამართლის
წინაშე ორივე მხარის (როგორც ბრალდების, ისე დაცვის) თანდასწრებით.

ახალი კოდექსის სისტემაში ასევე იქნება ასახული ფარული საგამომძიებო მოქმედებები;
აღარ იარსებებს ცალკე კანონი “ოპერატიულ-სამძებრო სამქიანობის შესახებ”. ფარული
საგამომძიებო მოქმედებები დაექვემდებარება სასამართლო კონტროლს და მათ შედეგად მოპოვებული
მტკიცებულება, სასამართლოს თანხმობით, ჩაითვლება სრულფასოვან მტკიცებულებად.
მკაცრად განსაზღვრული იქნება ბრალდებულად ყოფნის (სისხლისსამართლებრივი ღვეზის) ვადები,
რომლებიც არ შეიძლება აღემატებოდეს 12 თვეს. სისხლის სამართლებრივი ღვეზა იქნება
დისკრეტული. საპროცესო კოდექსი აქტიურად გაითვალისწინებს დაზარალებულის უფლებას,
განახორციელოს კერძო სისხლისსამართლებრივი ღვეზა.

ბრალდებულის თავისუფლების შეზღუდვის საკითხები

ბრალდებულის დაპატიმრების ბრძანებას გასცემს სასამართლო, თუ არსებობს პირის მიერ
დანაშაულის ჩადენის დასაბუთებული ეჭვი; ამასთან ერთად, უნდა არსებობდეს დასაბუთებული
ვარაუდი, რომ პირი მიემალება გამოძიებას, ჩაიდენს ახალ დანაშაულს, გაანადგურებს
მტკიცებულებას ან დაემუქრება პროცესის მონაწილეებს. დანაშაულზე წასწრებისას, დაკავების
უფლება ექნება პოლიციას, გამომძიებელს, პროკურორს, ასევე ნებისმიერ პირს, თუ დაკავების
მიზანია ბრალდებულის მოსამართლესთან მიყვანა. დაკავებიდან 48 საათში დაკავებული
ბრალდებული უნდა წარედგინოს მოსამართლეს.

ბრალდებულის პატიმრობის ერთიანი ვადა, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ
განაჩენის გამოტანამდე, არ შეიძლება აღემატებოდეს 2 თვეს. მოსამართლის გადაწყვეტილება
პატიმრობის შეფარდების შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში.

წინასწარი სასამართლო განხილვა

თუკი მოსამართლესთან პირველივე წარდგენისთანავე ბრალდებული არ იქნება თანახმა
საქმის საპროცესო შეთანხმებით ან შეკვეცილი პროცესით დამთავრებაზე, პირის ბრალდებულად
ცნობის შემდეგ ჩატარდება წინასწარი სასამართლო სხდომა. წინასწარი სასამართლო სხდომის
მოსამართლე არ იქნება საქმის არსებითად განმხილველი მოსამართლე.

ელი იქნება პირის მიერ გამოძიების პროცესში ბრალის
დება მოკლე ვადებში და შეკვეცილი ფორმით, არსებითი

ს დაწყებამდე, მხარეები ერთმანეთსა და მოსამართლეს
წარუდგენენ მტკიცებულებათა სიას, ასევე შესაძლებელი იქნება შეიცვალოს ბრალდების
ფორმულირება და ბრალდებულს წარედგინოს ახალი ბრალდება. წინასწარი სასამართლო სხდომის
დროს, მოსამართლე ბრალდებულს გააცნობს ბრალდების არსს, შუამდგომლობის საფუძველზე
გადაწყვეტს მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხს, გაარკვევს, სურს თუ არა ბრალდებულს
ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესი, დანიშნავს საქმის არსებითი განხილვის თარიღს,
განიხილავს აღკვეთის ღონისძიების შეცვლის (პატიმრობის ვადის გაგრძელების) საკითხს.

საქმის არსებითი განხილვა და სასჯელის დანიშვნა

საქმის არსებითი განხილვა, ახალი კოდექსით, წარმოადგენს სისხლის სამართლის
პროცესის ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპს. სისხლის სამართლის საქმის ყველა მტკიცებულების
წარდგენა და გამოკვლევა მოხდება სასამართლოს წინაშე, ღია და შეჯიბრებითი პროცესის
პირობებში.

საქმის არსებითი განხილვის, როგორც სრულყოფილი სასამართლო გამოძიების, ჩატარების
პირობებში აუცილებელი სასამართლო განხილვის მოქმედი პრინციპის გაუქმება. მტკიცებულებათა
გამოკვლევის მიზნით, მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე, ჩატარდება ერთი ან რამოდენიმე
სასამართლო სხდომა, რომელზედაც სრული მოცულობით მოხდება მხარეთა მიერ წარმოდგენილ
მტკიცებულებათა გამოკვლევა და პროცესუალური დამაგრება.

საქმის არსებითი განხილვის დროს, მოსამართლე, მხარის შუამდგომლობით, ახლად
გამოვლენილი გარემოების საფუძველზე იხილავს მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხს, ასევე
მოწმეთა დაცვის სპეციალური ზომების მიღების აუცილებლობას;

სასამართლო გამოძიების პროცესში, მხარეებს ნებისმიერ დროს შეეძლება მოსამართლეს
მიმართონ შუამდგომლობით, ჩატარდეს საქმეზე მხარეთა საბოლოო კამათი. თუ მოსამართლე
მხარის (მხარეთა) შუამდგომლობას დააკამოფილებს, პროკურორის საბრალდებო სიტყვისა და
დაცვის საბოლოო სიტყვის შემდეგ, მოსამართლეს გამოაქვს ვერდიქტი საქმეზე.

თუ მოსამართლე ან პროკურორი საქმეში მონაწილეობას სხვა საპროცესო სუბიექტის
სტატუსით, ან არსებობენ გარემოებები, რომლებიც ხელს უშლიან მის მიუკერძოებლობას, მოხდება
მისი თვითაცილება ან აცილება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე. მოსამართლის,
გამომძიებლის, პროკურორის აცილების საფუძველები და წესი განისაზღვრება კოდექსის
კონკრეტული დებულებებით.

დანაშაულთა სასამართლო განსჯადობა დაეყრდნობა ინსტანციურობის პრინციპს. პირველი
ინსტანციის სასამართლოები განიხილავენ ყველა დანაშაულებს, მიუხედავად მათი სიმძიმისა;
საოლქო და ავტონომიური რესპუბლიკების ავტონომიური სასამართლოების მიერ საქმეთა განხილვა
მოხდება მხოლოდ სააპელაციო წესით. ხოლო უზენაესი სასამართლო იქნება მხოლოდ საკასაციო
ინსტანცია.

თუ ბრალდებული განსხვავებულ ჩვენებას მისცემს სასამართლო სხდომაზე,
მტკიცებულებად მიიღება მხოლოდ ეს უკანასკნელი.

მთავარი სასამართლო სხდომის დროს შეიძლება წერილობით წარდგენილ იქნეს მოწმის
ჩვენება ან სხვა მტკიცებულება, რომელიც დეპონირებულ იქნა წინასწარი გამოძიების დროს
მოსამართლის წინაშე, კოდექსით დადგენილი წესების დაცვით. სასამართლო განხილვის დროს,
მტკიცებულებათა წარდგენა და გამოკვლევა მოხდება მხოლოდ მხარეთა ინიციატივით და მათ მიერ.
მოსამართლე წარმართავს მთავარი სასამართლო სხდომის მიმდინარეობას. არც ერთ
მტკიცებულებას არ ექნება კანონით დადგენილი წინასწარი ძალა. მოსამართლე მთავარი
სასამართლო სხდომის დროს წარდგენილ მტკიცებულებებს შეაფასებს შინაგანი რწმენით.
მტკიცებულებათა შეფასების დროს წარმოშობილი ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დადასტურდება
კანონით დადგენილი წესით, გადაწყდება ბრალდებულის სასარგებლოდ.

სასამართლოს განაჩენი ყოველთვის დასაბუთებული უნდა იყოს; განაჩენი შეიძლება
დაუსაბუთებელი იყოს მხოლოდ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვერდიქტის საფუძველზე მისი
გამოტანისას. მოსამართლე ვერ შესძლებს ბრალდების ფორმულირების შეცვლას ბრალდებულის
საუარესოდ, თუმცა მას შეეძლება ბრალდების შემსუბუქება.

 Your complimentary use period has ended. Thank you for using PDF Complete.
[Click Here to upgrade to Unlimited Pages and Expanded Features](#)

ჩემოადგენს სახელმწიფო ბრალდების მხარეს და მხარს ს შეეძლება ზემდგომ პროკურორთან გაასაჩივროს მის სასამართლოში მხარდაჭერაზე უარის თქმის შესახებ.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო წარმოადგენს ბრალდებულის უფლებას.

გარდამავალ პერიოდში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განხილვა გათვალისწინებული იქნება მხოლოდ გარკვეული კატეგორიის დანაშაულების მიმართ (სიცოცხლის წინააღმდეგ, კორუფციული დანაშაული და სხვა.)

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგება 12 მსაჯულისაგან, რომელთა შერჩევა მოხდება ერთიანი საარჩევნო სიდიდან, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. მხარეებს უფლება ექნებათ, დასაბუთებული ან დაუსაბუთებელი აცილება მისცენ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს კანდიდატებს. ნაფიცი მსაჯულების წინაშე სასამართლო განხილვა მიმდინარეობს მხარეთა სრული შეჯიბრებითობის საფუძველზე. ნაფიცი მსაჯულები გადაწყვეტილებას იღებენ მხოლოდ პირის ბრალეულობასა თუ უდანაშაულობის შესახებ.

სასჯელის ზომის განსაზღვრა მოსამართლის პრეროგატივაა. მოსამართლე ბრალდებულს სასჯელს შეუფარდებს სასამართლო სხდომაზე სასჯელის დანიშვნის შესახებ. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვერდიქტი შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ საკასაციო წესით, საქმის განხილვისას დაშვებულ სამართლებრივ შეცდომებთან დაკავშირებით.

აპელაცია

პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი აღსრულება გამოტანისთანავე ე.წ. პირობითი აღსრულების გზით (*provisional execution*). განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს, სააპელაციო წესით, სააპელაციო ინსტანციაში. სააპელაციო ინსტანცია იქნება დამოუკიდებელი სასამართლო ინსტანცია, რომელიც განიხილავს საჩივრებს დაბალი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებებზე.

აპელაცია დასაშვები იქნება ყველა კატეგორიის დანაშაულზე, გარდა საპროცესო შეთანხმების ან ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვერდიქტის საფუძველზე გამოტანილი განაჩენისა, რომელიც გასაჩივრდება საკასაციო წესით. განაჩენის სააპელაციო წესით გასაჩივრება შეეძლება მხოლოდ ბრალდებისა და დაცვის მხარეს. სააპელაციო ინსტანცია უფლებამოსილი იქნება, განუხილველად დატოვოს ამკარად დაუსაბუთებელი საჩივარი.

სააპელაციო წესით განხილვის დროს არ მოხდება პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილული ფაქტობრივი გარემოებების ხელახალი განხილვა თუ სახეზე არ არის მხარის დასაბუთებული შუამდგომლობა. აპელაციის დროს სრულყოფილად მოხდება მსჯელობა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ კანონის არასწორად გამოყენების საკითხზე ანუ, საკასაციო ინსტანცია შემოიფარგლება მხოლოდ სამართლის საკითხებით. სააპელაციო ან საკასაციო განხილვა მოხდება მხოლოდ იმ მოცულობით, რომლისაც მოითხოვს საჩივარის წარმდგენი მხარე.

დაუშვებელი იქნება ხელახალი განხილვის მიზნით საქმის დაბრუნება სააპელაციო ინსტანციიდან ამ საქმის პირველი ინსტანციით განმხილველი სასამართლოსათვის. თუ სააპელაციო სასამართლო მთლიანად ან ნაწილობრივ გააუქმებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას, მას თავად გამოაქვს ახალი განაჩენი.

კასაცია

საკასაციო მართლმსაჯულებას, ქვეყნის ტერიტორიით, განახორციელებს მხოლოდ უზენაესი სასამართლო. საკასაციო საჩივრის შეტანის უფლება ექნებათ მხოლოდ დაცვისა და ბრალდების მხარეს. საკასაციო სასამართლო განუხილველად დატოვებს ამკარად დაუსაბუთებელ საკასაციო საჩივარს.

საკასაციო საჩივრის შეტანის საფუძველი იქნება კანონის დარღვევა; კანონი დარღვეულად ჩაითვლება, თუ განაჩენი არ ეყრდნობა სამართლებრივ ნორმას ან ის არასწორად არის გამოყენებული ან სახეზეა პროცესუალური ნორმების უხეში და არსებით დარღვევა.

თუ საკასაციო პალატა განაჩენს გააუქმებს, იგი საქმეს ხელახალი განხილვისათვის გაუგზავნის იმ სასამართლოს სხვა შემადგენლობას, რომლის განაჩენიც გაუქმდა. საკასაციო ინსტანციის მიერ გამოტანილი განაჩენი სავალდებულოა ქვემოთი ინსტანციის სასამართლოსათვის, რომელსაც საქმე უბრუნდება. საკასაციო სასამართლოს განაჩენს პრეცედენტული ძალა არ გააჩნია.

დღისიუსტიციის საპროტოკოლური სამართალდარღვევათა შესახებ კანონმდებლობა

დღეს მოქმედ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში თავს იჩენს სამართლებრივი ხასიათის პრობლემების მთელი კომპლექსი. ეს პრობლემები უკავშირდება ამ კანონმდებლობის მატერიალურ-სამართლებრივ, საპროცესო და სააღსრულებო წარმოების სფეროებს. ასევე, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების სფეროებს. ყველაზე მნიშვნელოვანი და არსებითია თანამედროვე ქართული სამართლის სისტემაში მისი ადგილისა და დანიშნულების სწორად განსაზღვრის, სამართლის ამა თუ იმ დარგისადმი მისი კუთვნილების პრობლემის გადაწყვეტა.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი უნდა გაუქმდეს. ამ კოდექსში არსებული დელიქტები უნდა გაიყოს და გაიმიჯნოს ორ ჯგუფად. ის დელიქტები, რომლებიც თავისი ბუნებით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ხასიათისაა, უნდა მიეკუთვნოს ადმინისტრაციული სამართლის სფეროს, რაც გულისხმობს თვით დელიქტების და მათი ჩადენისთვის გათვალისწინებული სანქციების გადატანას შესაბამის დარგობრივ კანონმდებლობაში. აღნიშნული მატერიალური ნორმების საპროცესო მხარე კი უნდა დარეგულირდეს ზოგადი ადმინისტრაციული და ადმინისტრაციულ-საპროცესო კანონმდებლობით. გამოყენებული ადმინისტრაციული სანქცია განხილულ უნდა იქნეს როგორც ადმინისტრაციული ზემოქმედების კონკრეტული ღონისძიება, ხოლო მისი გამოყენების სამართლებრივი ფორმა შესაძლოა იყოს ადმინისტრაციული აქტი, რომლის მიღება და გამოცემა უნდა მოხდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული წესით. ამდენად, ადმინისტრაციული წარმოების ის პრინციპები და ფორმები, რომლებიც განსაზღვრავენ ნებისმიერი ადმინისტრაციული აქტის მიღების წესსა და პირობებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით, ასევე უნდა გამოიყენებოდეს ადმინისტრაციული სანქციის შეფარდების დროსაც. საჩივრის თაობაზე სასამართლოში აღძრული წარმოებისას გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს ადმინისტრაციულ-საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ინსტიტუტები, რაც სათანადოდ უზრუნველყოფს სამართლიანი სასამართლო განხილვის პირობებს. სასამართლო განხილვა უნდა იყოს ორინსტანციური (სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საბოლოობა). რაც შეეხება ამ კატეგორიის საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულებას, იგი უნდა განხორციელდეს სააღსრულებო წარმოების ზოგადი პრინციპებით. აღნიშნული გარემოებების სისწორეს ამყარებს ის ფაქტიც, რომ მოცემული წესით დღესაც ეფექტურად მიმდინარეობს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებული საქმეების განხილვა და შესაბამისი სანქციების შეფარდება საბაჟო და საგადასახადო სფეროში.

მეორე ჯგუფი დელიქტებისა თავისი შინაარსით წვრილმან სისხლის-სამართლებრივ დარღვევებს წარმოადგენენ. ცხადია, რომ ასეთი გადაცდომების ბუნება ვერ იქნება შესაბამისობაში ისეთ ზოგად ინსტიტუტებთან, რომელთა გამოყენებაც აუცილებელია წმინდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შედეგად წარმოშობილ ურთიერთობათა გადაწყვეტისას. აქედან გამომდინარე, ზემოხსენებული გადაცდომების ჩადენასთან დაკავშირებით წარმოშობილი სამართალურთიერთობები ამ შემთხვევაშიც უნდა გადაწყდეს და მოწესრიგდეს სამართლის იმ შესაბამისი დარგისადმი მათი მიკუთვნების გზით, რომელსაც რეალურად ესადაგება მათი ნამდვილი სამართლებრივი ბუნება და თვისობრივი ხასიათი. აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილი იქნება ამ გადაცდომების კოდიფიცირება სისხლის სამართლის კოდექსის ცალკე თავში, რომელსაც ერქმევა „გადაცდომები“. ამ თავის ძირითადი შემადგენელი ნაწილი უნდა გახდეს ამჟამად მოქმედი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში წარმოდგენილი ის გადაცდომები, რომლებიც სისხლის სამართლებრივი ხასიათისაა, ამასთან ერთად, უნდა მოხდეს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის განტვირთვა მთელი რიგი მცირემნიშვნელოვანი ქმედებებისგან, რომლებიც ნაკლებად მძიმე დანაშაულთა კატეგორიას განეკუთვნებიან.

მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრაც, თუ როგორ უნდა იყოს გადაცდომათა საქმეებზე სამართალწარმოება, რისთვისაც მოქმედ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს უნდა დაემატოს სპეციალური თავი „გადაცდომის სამეთა წარმოების შესახებ“, რომელიც გაითვალისწინებს აღნიშნული კატეგორიის საქმეებზე სამართალწარმოების სპეციფიკურ თავისებურებებს. ამავე დროს, მასზე გავრცელდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის

ქელება, რითაც იგი მიიღებს სრულყოფილ სახეს და კომპიუტერის შესაფერისი სწრაფი და ეფექტური

ას აუცილებელია იმ განსხვავებების ხაზგასმა, რომელიც იარსებებს გადაცდომების საქმეების წარმოებასა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეთა წარმოების შორის. როგორც აღვნიშნეთ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოება წარიმართება ზოგად ადმინისტრაციული და ადმინისტრაციულ-საპროცესო კოდექსების პრინციპებით ადმინისტრაციული აქტის გამოცემის საფუძველზე, რაც გულისხმობს იმას, რომ შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციული აქტი აუცილებელია შესასრულებლად, თუ ის არ გასაჩივრდა სასამართლოში. რაც შეეხება გადაცდომის ფაქტს, მასზე მოკვლევას განახორციელებს კანონით განსაზღვრული ადმინისტრაციული ორგანო, თუმცა სანქციის შემფარდებელი იქნება უშუალოდ სასამართლო. გამონაკლისი შესაძლებელია გაკეთდეს მხოლოდ კონკრეტული გადაცდომებისთვის, რომლებიც მყისიერ რეაგირებას საჭიროებენ (მაგ. საგზაო უსაფრთხოების წესების დარღვევისას მართვის მოწმობის ჩამორთმევა ან ავტომანქანის ჩამორთმევა).

ამდენად, რეფორმის შედეგად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ამჟამინდელი სისტემით აღარ იარსებებს. იგი გაიყოფა და დარგობრივი პრინციპით გადაანაწილება ადმინისტრაციული სამართლისა და სისხლის სამართლის სფეროებში, რისი მეშვეობითაც მივიღებთ ეფექტურად ფუნქციონირებად სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებების მაქსიმალურ დაცვას და მართლმსაჯულების სწრაფ და ხარისხიან განხორციელებას.

პროკურატურა

პროკურატურის კონსტიტუციური სტატუსი

კონსტიტუციური თვალსაზრისით, საქართველოს პროკურატურა უნდა შევიდეს აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურაში. მის სათავეში უნდა იდგას გენერალური პროკურორი, რომლის კანდიდატურას შეარჩევს საქართველოს პრეზიდენტი და დაამტკიცებს პარლამენტი. გენერალური პროკურორი დაინიშნება 5 წლის ვადით. მისი დანაშენა შეიძლება ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. მისი თანამდებობიდან გადაყენება შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმპიჩმენტის წესით. მთავრობის გადადგომა არ გამოიწვევს გენერალური პროკურორის გადადგომას.

კონსტიტუციური სტატუსის მიუხედავად, ფუნქციონალურად პროკურატურა დამოუკიდებელი იქნება. არც საკანონმდებლო და არც აღმასრულებელ ხელისუფლებას არ ექნებათ უფლებამოსილება კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით დავალებები მისცენ პროკურატურას. სასამართლო ხელისუფლებასთან ურთიერთობა დაფუძნებული იქნება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაზე მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის გათვალისწინებით.

პროკურატურის სისტემის ორგანიზაცია

პროკურატურის სისტემის მართვის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად, აგრეთვე პროკურორთა დანიშვნის და დისციპლინური დევნის პროცესში მონაწილეობის მიზნით პროკურატურის სისტემაში შეიქმნება დამოუკიდებელი ორგანო - პროკურატურის საბჭოს. პროკურატურის საბჭო დაკომპლექტდება პროკურატურის სისტემის წარმომადგენლებისაგან, ასევე საკანონმდებლო ხელისუფლების, იუსტიციის საბჭოსა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან.

პროკურატურის საბჭოს ძირითადი ფუნქცია იქნება პროკურორთა თანამდებობაზე დასანიშნ პირთათვის კონკურსის ორგანიზება, ამავე დროს, საქართველოს გენერალური პროკურორის მხარდაჭერა პროკურატურის სისტემის ეფექტურ მართვაში.

პროკურატურის სტრუქტურულ ერთეულებს შექმნის და გააუქმებს გენერალური პროკურორი პროკურატურის საბჭოს წარდგინებით. ყველა სტრუქტურული ქვედანაყოფის ფუნქციური მოვალეობები განისაზღვრება გენერალური პროკურორის ბრძანებით. პროკურორებს შორის საქმეთა განაწილება მოხდება მათი ფუნქციონალური სპეციალიზაციის მიხედვით ქვედანაყოფის ხელმძღვანელი პროკურორის მიერ.

მის ძირითად ფუნქციას, რაც გამოიხატება განხორციელებასა და წინასასამართლო გამოძიებაზე დასუფლების აღკვეთის ადგილებში კანონის ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებაზე ზედამხედველობა. საპროცესო კანონმდებლობის შეცვლასთან ერთად გაძლიერდება პროკურორის, როგორც წინასასამართლო გამოძიებაზე ზედამხედველის ინსტიტუტი.

ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიღებით ივადგება სისხლისსამართლებრივი დევნის დისკრეციულობის ინსტიტუტის შემოტანა. კერძოდ, მცირე მნიშვნელობის საქმეებზე პროკურორს ექნება დისკრეციული უფლებამოსილება სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების თვალსაზრისით. დისკრეციული დევნის სისტემის ჩამოყალიბების დროს გათვალისწინებული იქნება დაზარალებულის ინტერესები. განხორციელებული დისკრეციული დევნა დაექვემდებარება სახელმძღვანელო მითითებებს, რომელსაც გენერალური პროკურორი გამოსცემს და სავალდებულო იქნება შესასრულებლად ყველა პროკურორისათვის.

საპროცესო კანონმდებლობის შეცვლასთან ერთად დღესდღეობით მოქმედი მკაცრი სუბორდინაციის პრინციპი გადაიხედება. პროკურორი სისხლის სამართლის პროცესში გახდება დამოუკიდებელი ფიგურა. შესაბამისად რაიონულ პროკურორებს მიეცემათ დამოუკიდებლად უფრო მეტი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა, რაც ხელს შეუწყობს მათი სამსახურებრივი პასუხისმგებლობის გაზრდას. ამავე დროს, ზემდგომი პროკურორი შეინარჩუნებს ქვემდგომი პროკურორის საქმისაგან ჩამოშორების უფლებამოსილებას.

საქართველოს გენერალური პროკურატურა ასევე განახორციელებს სამართალდამცავი ორგანოების მიერ დანაშაულთან ბრძოლის კოორდინაციას. გენერალური პროკურორის მიერ გამოცემულ იქნება სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც სავალდებულო იქნება შესასრულებლად ყველა საგამოძიებო ორგანოს მიერ. გენერალურ პროკურატურაში შეიქმნება ერთიანი ძლიერი საინფორმაციო-ანალიტიკური და სტატისტიკის სამსახური, რომლის ძირითადი დანიშნულება იქნება საქართველოში მომხდარი ყველა დანაშაულის სტატისტიკის წარმოება და მათი ანალიტიკური კვლევა, ასევე დანაშაულთა დინამიკის კრიმინოლოგიური ანალიზი.

პროკურორის დანიშვნა, დაწინაურება, მომზადება/გადამზადება, დისციპლინარული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა

პროკურორების დანიშვნისა და მათ მიმართ დისციპლინური დევნის დემოკრატიზაციის მიზნით ახალ კანონმდებლობაში გათვალისწინებული იქნება ახალი პროცედურები. კერძოდ, პროკურორად (პროკურატურის გამომძიებლის) შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე პირი, რომელსაც ჩაბარებული აქვს საკვალიფიკაციო (სასერტიფიკაციო) გამოცდა, მიღებული აქვს პროკურატურის მუშაკის ფიცი, ასევე საქმიანი და მორალური თვისებებით, ასევე ჯანმრთელობის მდგომარეობით აკმაყოფილებს პროკურატურის მუშაკისათვის აუცილებელ მოთხოვნებს. პროკურორის (პროკურატურის გამომძიებლის) თანამდებობაზე დასანიშნად პირმა უნდა გაიაროს პროკურატურის საბჭოს მიერ ორგანიზებული კონკურსი. კონკურს არ გადიან გენერალური პროკურორის მოადგილეები.

პროკურორთა დანიშვნა:

1 ეტაპი: საკვალიფიკაციო (სასერტიფიკაციო) გამოცდა
კანდიდატი გაივლის საკვალიფიკაციო გამოცდას.

2 ეტაპი: კონკურსი

გამოცდის წარმატებული ჩაბარების შემდეგ კანდიდატი მიმართავს განცხადებით პროკურატურის საბჭოს კონკურსის გავლის მიზნით.

კონკურსი იქნება ორ ეტაპიანი: კანდიდატის მიერ წერილობითი ნაშრომის მომზადება და საბჭოს წევრების კანდიდატთან გასაუბრება.

3 ეტაპი – თანამდებობაზე დანიშვნა

ზემოთ მოცემული კონკურსის შედეგების გათვალისწინებით და დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად პროკურატურის საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას პროკურორად დასანიშნი კანდიდატის გენერალურ პროკურორისათვის წარსადგენად. პროკურორის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს გენერალური პროკურორი, ხოლო დანიშვნაზე უარის შემთხვევაში გენერალური პროკურორი საბჭოს წინაშე წარმოადგენს წერილობით დასაბუთებას. გენერალური პროკურატურის დეპარტამენტების ხელმძღვანელები, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური

ების დანიშვნის შემთხვევაში პროკურატურის საბჭო ერთ ვაკანსიაზე სამ კანდიდატურას. გენერალური დგენილი კანდიდატურიდან თანამდებობაზე დანიშნოს თი და წერილობითი დასაბუთების გარეშე უარი თქვას

დარჩენი კანდიდატურების დანიშვნაზე. გენერალური პროკურორი წერილობით ასაბუთებს უარს სამივე კანდიდატის უარყოფის შემთხვევაში.

პროკურორი (პროკურატურის გამომძიებელი) თანამდებობაზე ინიშნება უვადოდ, ხოლო აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, რაიონული პროკურორები ინიშნებიან 5 წლის ვადით. რაიონის ერთი და იგივე პროკურორის ერთზე მეტი ვადით დანიშვნა დაუშვებელია. პროკურატურის მუშაკის თანამდებობა შეუთავსებელი იქნება სხვა საჯარო თანამდებობასთან, ასევე სამეწარმეო და სხვა ანაზღაურებად საქმიანობასთან, გარდა სამეცნიერო, შემოქმედებითი და სხვა პედაგოგიური საქმიანობისა. პროკურატურის სისტემაში ვაკანსიის გაჩენის შემთხვევაში, საერთო წესით ტარდება კონკურსი. პროკურატურის მუშაკებს დაკავებული თანამდებობის, სამეცნიერო ხარისხის, კვალიფიკაციის, სამუშაო სტაჟის, საქმიანი და მორალური თვისებების, დაკისრებული მოვალეობების შესრულების ან განსაკუთრებული დამსახურებისთვის მიენიჭებათ სახელმწიფო სპეციალური წოდებები. წოდებების მინიჭების და ჩამორთმევის წესი განისაზღვრება კანონით.

შენარჩუნდება პროკურატურაში სტაჟირების გავლის არსებული სისტემა.

პროკურატურის კადრების პროფესიული დონის ამაღლებისათვის პერიოდულად განხორციელდება კვალიფიკაციის ამაღლების კურსებისა და სემინარების ორგანიზება. მოცემული კურსებისა და სემინარების ორგანიზების მიზნით პროკურატურაში ჩამოყალიბდება სასწავლო ცენტრი, ხოლო მის ჩამოყალიბებამდე გამოყენებულ იქნება სამოსამართლო სწავლების ცენტრის რესურსები.

პროკურორთა მიმართ დისციპლინური დევნის განხორციელება

პროკურორთა მიმართ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში დისციპლინურ დევნას განხორციელებს პროკურატურის გენერალური ინსპექცია. გენერალური ინსპექციის უფროსს, რომელიც აკმაყოფილებს პროკურორისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებულ პირობებს, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს პროკურატურის საბჭოს წარდგინებით გენერალური პროკურორი.

დისციპლინური დევნის განხორციელების დროს გენერალური ინსპექცია დამოუკიდებელია. გენერალურ პროკურორს და ქვემდგომ პროკურორებს ექნებათ უფლება დისციპლინური დარღვევის შემთხვევაში შესაბამისი ინფორმაცია მიაწოდონ გენერალურ ინსპექციას. გენერალური ინსპექცია არ არის შეზღუდული მოცემული ინფორმაციით და დამოუკიდებლად ატარებს დისციპლინურ წარმოებას.

დისციპლინური გადაცდომები და შესაბამისი პასუხისმგებლობა განისაზღვრება სპეციალური აქტით. განისაზღვრება დისციპლინურ გადაცდომებზე პასუხისმგებლობის დაკისრების ხანდაზმულობის ვადა.

გენერალური ინსპექციის მიერ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილება შესაძლებელია კანონით განსაზღვრულ ვადაში გასაჩივრდეს პროკურატურის საბჭოს დისციპლინურ კომისიაში, რომელსაც ქმნის პროკურატურის საბჭო. თუ გენერალური ინსპექციის გადაწყვეტილება არ გასაჩივრდება კანონით დადგენილ ვადაში მას, ხოლო მისი გასაჩივრების შემთხვევაში დისციპლინური კომისიის საბოლოო გადაწყვეტილებას სავალდებულო წესით ხელს აწერს საქართველოს გენერალური პროკურორი. გენერალური პროკურორის მიერ დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრება საერთო წესით გასაჩივრდება სასამართლოში.

პროკურატურის მუშაკთა ეთიკის კოდექსი შემუშავდება პროკურატურის საბჭოს მიერ და მას დაამტკიცებს პროკურატურის მუშაკთა საერთო კრება. ეთიკის კოდექსის მოთხოვნათა დაცვაზე ზედამხედველობას განხორციელებს პროკურატურის საბჭო.

პროკურორის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას ჩადენილი დელიქტისთვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. შესაბამისად სახელმწიფო უფლებამოსილია რეგრესის წესით მოითხოვოს ანაზღაურება პროკურორისაგან.

სისხლის სამართლებრივად დასჯადი ქმედების (დანაშაულის) ჩადენისას, პროკურორი პასუხს აგებს საერთო წესით, იმ გამონაკლისით, რომ მის წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივ დევნას აღძრავს მხოლოდ გენერალური პროკურორი. საქმის გამოძიებას აწარმოებს მხოლოდ

პროკურატურის ყოველწლიურ ბიუჯეტის პროექტს ფინანსთა სამინისტროს წარუდგენს გენერალური პროკურორი და თავის მხრივ მთავრობა - პარლამენტს დასამტკიცებლად. გამოყოფილ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის კანონიერებასა და მიზნობრივ გამოყენებაზე კონტროლს განახორციელებს კონტროლის პალატა. პროკურატურის შესახებ კანონში აღინიშნება, რომ პროკურატურის ორგანიზაციისა და საქმიანობისათვის აუცილებელი ხარჯები ბიუჯეტში არ შეიძლება იყოს წინა წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულ ხარჯებზე ნაკლები. ეს წესი ეხება მხოლოდ მიმდინარე და არა სისტემის განახლებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. გარდაქმნილ რაიონული დონის პროკურატურებს ექნებათ საკუთარი ბიუჯეტი, რომელიც იქნება პროკურატურის ერთიანი ბიუჯეტის შემადგენელი ნაწილი. შესაბამისად რაიონულ პროკურატურებს ექნებათ შესაძლებლობა ავტონომიურად განახორციელონ ფინანსური ადმინისტრირება გამოყოფილი სახსრების ფარგლებში.

პროკურატურის მუშაკთა ხელფასი და სოციალური გარანტიები დარეგულირდება კანონით პროკურატურის შესახებ. ხელფასის ოდენობას კანონის შესაბამისად განსაზღვრავს გენერალური პროკურორი. პროკურატურის მუშაკი დაექვემდებარება სავალდებულო სახელმწიფო დაზღვევას. ზიანი, რომელიც პროკურატურის მუშაკს მიაღებება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ანაზღაურდება სახელმწიფოს მხრიდან.

პოლიცია და დანაშაულის პრევენცია

შესავალი

ბოლო ორი წლინახევრის განმავლობაში შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პოლიციაში არსებითი ცვლილებები გატარდა: უშიშროების სამინისტრო შეუერთდა შინაგან საქმეთა სამინისტროს; პოლიციის ოფიცრების რაოდენობა შემცირდა დაახლოებით 50 პროცენტით; შეიქმნა ახალი პოლიციის სამსახური – საპატრულო პოლიცია (საზოგადოებრივი დაცვის პოლიცია); პოლიციელთა ხელფასები გაიზარდა; შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარები გადავიდა თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში, ხოლო საზღვრის დაცვის დეპარტამენტი გადავიდა პოლიციის სისტემაში; სამინისტროში დაიწყო კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა; პოლიციის ახალი თანამშრომლების შერჩევა, ისევე როგორც საბაზისო სწავლებისა და შიდასამსახურებრივი წვრთნები სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს. თუმცა ყველა ეს ძალისხმევა საჭიროებს კიდევ უფრო მეტ და საფუძვლიან განვითარებას სტრატეგიისა და ახალი საკანონმდებლო ბაზის ფონზე. ასეთი სტრატეგია და ახალი საკანონმდებლო ბაზა უნდა განვითარდეს ევროპული სტანდარტების, ადამიანის უფლებების სტანდარტებისა და ამავედროულად კანონის უზენაესობის პრინციპებთან შესაბამისობაში, სადაც პოლიცია სისხლის სამართლის იუსტიციის სისტემაში წარმოდგენილი იქნება პირველ რიგში.

პოლიციის რეფორმის ძირითადი ამოცანები

პოლიციის სისტემის რეფორმის სტრატეგია ემყარება ორ უმთავრეს ამოცანას. პირველი – პოლიცია უნდა ჩამოყალიბდეს საზოგადოებაზე ორიენტირებულ ორგანიზაციად, რაც, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს იმას, რომ პოლიცია რეპრესიული ორგანიზაციიდან უნდა გადაიქცეს ისეთ ორგანიზაციად, რომელიც მოქალაქეთა დაცვისა და უსაფრთხოების მყარი და სანდო გარანტი იქნება. მეორე – პოლიცია უნდა გახდეს ეფექტურად ფუნქციონირებადი ორგანიზაცია, რომელიც თავის ოპერატიულ და პრევენციულ საქმიანობას განახორციელებს დემოკრატიული საზოგადოების სტანდარტებთან შესაბამისობაში. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, პოლიციის სისტემაში გაიმყარდეს არაპოლიციური და პოლიციური ფუნქციები. ბოლოს, საზოგადოებას უნდა მიეცეს შესაძლებლობა, რომ სრული წარმოდგენა ჰქონდეს პოლიციის საქმიანობაზე და იმავედროულად შეგავლენა მოახდინოს პოლიციის მენეჯმენტის ყველა დონეზე (საზოგადოებრივი საბჭოები).

პოლიციის რეფორმის მონახაზი

ის სამი დონე. ესენია: სტრატეგიული, ტაქტიკური და მდებარე მნიშვნელოვან საკითხებს: 1) შინაგან საქმეთა პოლიციის კონტროლი; 3) პოლიციის ორგანიზაცია; 4) შინაგან საქმეთა შიდასამსახურებრივი ტრენინგები; 6) სამუშაო პირობები;

7) საზოგადოებრივი საბჭოები.

1. შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზაცია

სამინისტრო არის სტრატეგიული დონე, რომელიც წყვეტს პოლიტიკურ, პოლიციის მენეჯმენტის, ბიუჯეტისა და საერთაშორისო სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საკითხებს. მინისტრის გადაწყვეტილებით შეიქმნება სამინისტროს აპარატი, რომელშიც შევა პოლიციაზე კონტროლის განხორციელების უფლებამოსილი დანაყოფი (გენერალური ინსპექცია). მინისტრის წინაშე პასუხისმგებელი შემდეგი დეპარტამენტები იქნება: პოლიციის დეპარტამენტი, საზღვრის პოლიციის დეპარტამენტი, უსაფრთხოების დეპარტამენტი და სასწავლო ინსტიტუტები. თუმცა პოლიციის დეპარტამენტის ჩამოყალიბება შესაძლებელი იქნება მხოლოდ პოლიციაში სხვა უმთავრესი რეფორმების გატარების შემდეგ, როგორცაა კორუფციის კიდევ მეტი შემცირება და პოლიციის საქმიანობის ეფექტურობის გაზრდა. მანამდე პოლიციის დეპარტამენტის ფუნქციებს განხორციელებს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი, სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტი და რეგიონალური პოლიციის მთავარი სამმართველოები. მინისტრი დანიშნავს ზემოხსენებული დეპარტამენტების ხელმძღვანელებს.

მინისტრი პასუხისმგებელია მთავრობისა და პარლამენტის წინაშე.

სტრატეგიული დონის თანამშრომლები არიან სამოქალაქო პირები, რომელთაც არ აქვთ პოლიციური უფლებამოსილებები.

2. პოლიციის კონტროლი

გენერალური ინსპექცია უშუალოდ დაექვემდებარება მინისტრს და პასუხისმგებელი იქნება მის წინაშე, როგორც შიდა კონტროლის ორგანო. გენერალური ინსპექცია განიხილავს როგორც საჩივრებს, ასევე პოლიციელის მხრიდან ჩადენილ დანაშაულის ფაქტზე შემოსულ განცხადებებს. გენერალური ინსპექცია განხორციელებს დისციპლინურ დევნას და სისხლისსამართლებრივი დევნის განსახორციელებლად საქმეს გადასცემს პროკურატურას. გენერალური ინსპექცია მჭიდროდ ითანამშრომლებს ზემოხსენებულ საზოგადოებრივ საბჭოებთან (7). გენერალური ინსპექცია ასევე მჭიდროდ ითანამშრომლებს სახალხო დამცველის აპარატთან.

შინაგან საქმეთა მინისტრი ყოველ 6 თვეში ერთხელ მოხსენებით წარსდგება მთავრობისა და პარლამენტის წინაშე და მოახსენებს თუ რა ბედი ეწია წინა 6 თვის საჩივრებსა და განცხადებებს.

3. პოლიციის ორგანიზაცია

პოლიცია დაყოფილი იქნება დეპარტამენტებად, სახელდობრ პოლიციის დეპარტამენტი (საპატრულო და კრიმინალური), საზღვრის დაცვის პოლიციის დეპარტამენტი და უსაფრთხოების დეპარტამენტი. თითოეული დეპარტამენტის უფროსი უნდა იყოს გამოცდილი პროფესიონალი პოლიციის ოფიცერი, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმების შემდეგ დანიშნავს მინისტრი. მათი დანიშნვის ვადები და სამსახურიდან განთავისუფლების საკითხები განხილული იქნება შემდგომ. დეპარტამენტის ხელმძღვანელები, ბრძანებებს მიიღებენ მინისტრისაგან და პასუხისმგებელი იქნებიან მის წინაშე.

3.1. საპატრულო პოლიცია

საპატრულო პოლიცია არის საზოგადოებრივი დაცვის პოლიცია, რომლის ძირითადი ფუნქციაა ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენლებთან მჭიდრო თანამშრომლობით, პატრულირებითა და პრევენციული ღონისძიებების გატარებით დანაშაულის პრევენცია. საპატრულო პოლიცია მუშაობს ადგილობრივი პოლიციის უფროსის კონტროლის ქვეშ, რომელიც თავის მხრივ პასუხისმგებელია პოლიციის დეპარტამენტის უფროსის წინაშე.

3.2. კრიმინალური პოლიცია

კრიმინალური პოლიცია პასუხისმგებელია დანაშაულის განხილვაზე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით. კრიმინალური პოლიციის მუშაობაზე კონტროლს განხორციელებს ადგილობრივი პოლიციის უფროსი და იგი (კრიმინალური პოლიცია) ვალდებულია პატივი სცეს პროკურორის ბრძანებებსა და მითითებებს.

3.3. საზღვრის პოლიცია

საზღვრის პოლიცია არის პოლიციის ნაწილი და მისმა წევრებმა უნდა გაიარონ იგივე საბაზისო წვრთნები, რასაც ყველა სხვა პოლიციელი გადის. სპეციალური წვრთნების გავლის შემდგომ პოლიციას დაევალება განხორციელოს საქართველოს საზღვრისა და საზღვარზე პირების

პოლიციამ მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს საბაჟო
ის უფროსი პასუხისმგებელია მინისტრის წინაშე.

ნება მინისტრის ბრძანების საფუძველზე. უსაფრთხოების
სამსახურის უფროსი პასუხისმგებელი იქნება მინისტრის წინაშე. საზოგადოებრივი საბჭოები არ
შეამოწმებენ და არ გააკონტროლებენ უსაფრთხოების სამსახურს.

4. პერსონალის მენეჯმენტი

წარმოდგენილი იქნება პერსონალის თანამედროვე მენეჯმენტის სისტემა. ეს გულისხმობს
თითოეული პოლიციელის წინასწარ შეფასებას და წინასწარ გასაუბრებას ყველა თანამშრომელთან,
რომელიც ძირითადად შეეხება მათ მიერ როგორც გასული წლის, ასევე მომავალში
სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებას. შეფასება მხედველობაში მიიღება როდესაც
თანამშრომელი მოითხოვს დაწინაურებას ან ახალ თანამდებობაზე გადასვლას.

პოლიციაში თითოეული თანამდებობისთვის უნდა შეიქმნას სამუშაო აღწერილობები, მათ
შორის ვალდებულებები და პასუხისმგებლობები თითოეული თანამდებობისთვის.

უნდა ჩამოყალიბდეს სამოქალაქო რანგირების სისტემა, რომელიც მიუთითებს პირის
ორგანიზაციულ დონეზე და იმავდროულად ასახავს მოცემული პირის განათლებასა და პოლიციის
სამსახურში პროფესიონალურ მიღწევებს.

პოლიციის თანამშრომლების სამსახურში მიღებისა და სამსახურიდან დათხოვნის მკაცრი
პროცედურა უნდა შეიქმნას.

5. სწავლება და შიდასამსახურებრივი ტრენინგი

ყველაწარმოადგენს საპოლიციო წვრთნები უნდა ტარდებოდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს
სასწავლო ინსტიტუტებში. საბაზისო წვრთნები უნდა შემუშავდეს ევროპის სტანდარტებთან
შესაბამისად. ისინი უნდა ტარდებოდეს ერთი წლის განმავლობაში და უნდა შეიცავდეს პრაქტიკულ
წვრთნებს ნასწავლი პოლიციის ოფიცრების ზედამხედველობით. გარდა ამისა, სასწავლო
დაწესებულებამ უნდა მოაწიოს და წარმართოს სპეციალიზებული კურსები საზღვრისა და
კრიმინალური პოლიციის ოფიცრებისთვის, ისევე როგორც მოაწიოს და ჩაატაროს რეგულარულად
შიდასამსახურებრივი წვრთნები ყველა პოლიციის ოფიცრისთვის. სასწავლებლის უფროსი
პასუხისმგებელი იქნება მინისტრის წინაშე.

6. სამუშაო პირობები

6.1. შენობები და მოწყობილობა

შენობები და მოწყობილობები გონივრულ სტანდარტებამდე უნდა იქნას მიყვანილი, ისე რომ
თანამშრომლებს ნორმალურ და უსაფრთხო გარემოში მუშაობის შესაძლებლობა მიეცეთ და
ემაყებოდეთ ის, რომ ისინი პოლიციის თანამშრომლები არიან. როდესაც საუბარია ტექნიკურ
მოწყობილობებზე, ყველა ზომა უნდა იქნას მიღებული, რათა დაცული იქნას საიდუმლო
ინფორმაცია.

გარდა ამისა, პოლიციაში წინასწარი დაკავების საკნები უნდა პასუხობდეს თანამედროვე
მოთხოვნებს. საკნები ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ საკანში მყოფმა თვითმკვლელობა ვერ
ჩაიდინოს. ზამთრის პერიოდში შესაძლებელი უნდა იყოს საკნის გათბობა, ხოლო ზაფხულში –
გაგრილება. საკანი ასევე უნდა ნათდებოდეს დღისა და ელექტრონული სინათლით.

6.2. სამუშაო გრაფიკი

სამუშაო საათები უნდა მოწესრიგდეს ისეთნაირად, რომ პოლიციის ოფიცრები არ
გამოიფიტონ გადატვირთული სამუშაო დღით. სამუშაო დღე, როგორც წესი, უნდა მოიცავდეს 8
საათს. როდესაც დღე დავლამით მუშაობაა გათვალისწინებული, მაშინ ცვლა უნდა დარეგულირდეს,
სასურველია 8 სამუშაო საათით თითოეულ ცვლაზე.

6.3. ანაზღაურება

პოლიციელებს უნდა უზღიდნენ გონივრულ ხელფასს მათი დაკავებული თანამდებობისა და
პასუხისმგებლობის გათვალისწინებით. ყველა პოლიციელს უნდა ჰქონდეს იმის შესაძლებლობა, რომ
შეინახოს ოჯახი და იცხოვროს ღირსეულ პირობებში ისე, რომ ჰქონდეს პოლიციის სამსახურის
მიმართ პატივისცემის გრძნობა.

7. საზოგადოებრივი საბჭოები

ადგილობრივი პოლიციის ყველა განყოფილებაში და პოლიციის ტერიტორიულ
სამმართველოში უნდა შეიქმნას საზოგადოებრივი საბჭოები. საბჭოები უნდა დაკომპლექტდეს
საზოგადოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან 5 წლის ვადით.
საბჭოების წევრთა არჩევის წესს დაადგენს მინისტრი. საბჭოების ამოცანა იქნება ადგილობრივი

ვილებზე პოლიციელთა ამოცანების განხილვა. საბჭოები
ლთა პირობებს და გენერალურ ინსპექციას გადასცემენ

უნდა შეიქმნას საზოგადოებრივი საბჭო, რომელიც
კოორდინაციას გაუწევს ყველა საზოგადოებრივი საბჭოს საქმიანობას. ის დამოუკიდებელი
ორგანოები იქნება, რომელიც წელიწადში ერთხელ წარადგენს მოხსენებას პარლამენტში წინა
წლის გაწეულ სამუშაო შედეგებზე.

უნდა არსებობდეს მხოლოდ ერთი საზოგადოებრივი საბჭოების სისტემა, რათა არ მოხდეს
საქმიანობის დუბლირება და გაურკვევლობა. საზოგადოებრივმა საბჭომ უნდა იკისროს ის
პასუხისმგებლობა, რომელიც გაწერილი იქნება სახალხო დამცველსა და სამინისტროს შორის
დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში დაკავების საკნებზე და დაკავებულთა გაკონტროლების
საკითხზე.

სათემო პოლიცია

ადგილობრივი პოლიციის შიგნით უნდა შეიქმნას სათემო პოლიცია, რომელიც ადგილობრივ
ღონეზე გადაწყვეტს პოლიციასთან დაკავშირებულ საკითხების. სათემო პოლიცია შეასრულებს
ადგილობრივი პოლიციის უფროსის ბრძანებებს და მჭიდროდ ითანამშრომლებს საზოგადოებრივ
საბჭოებთან.

დანაშაულის პრევენცია

საზოგადოებრივმა საბჭოებმა, საზოგადოებამ, მასმედია, საშუალო სკოლებმა, საპატრულო
პოლიციამ, სათემო პოლიციის ერთეულებმა და სხვ. დანაშაულის პრევენციის საკითხებზე
კოორდინირებულად უნდა იმუშაონ. დანაშაულის პრევენცია ორ ღონეზე იქნება მოწერიებული.
პირველი მიმართული იქნება უშუალოდ იმ პირებზე, ვინც უკვე ჩაიდინა ნაკლებად მძიმე
დანაშაული ან უწევთ ცხოვრება ცუდ სოციალურ პირობებში და მეორე, ზოგად ღონეზე, სადაც
წარმოდგენილი იქნება სხვა პრევენციული ღონისძიებების პროპაგანდა. ასეთი სახის ღონისძიებების
დაფინანსება უნდა მოხდეს ადგილობრივი მუნიციპალური ორგანოების მიერ. ამ საკითხებზე
პასუხისმგებელი ორგანო, საზოგადოებრივი საბჭო იქნება. შინაგან საქმეთა სამინისტროში უნდა
ჩამოყალიბდეს სპეციალური ორგანო, რომელიც განახორციელებს ზემოხსენებულ საქმიანობებზე
ზედამხედველობას.

მიუკერძოებელი გამოკვლევა

მინისტრის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე პოლიციის ყველა ადგილობრივ
დეპარტამენტში დამნაშაულობის ღონისა და სოციალური პრობლემების საკითხებზე უნდა ჩატარდეს
სამეცნიერო გამოკვლევები. გამოკვლევების შედეგები უნდა წარედგინოს პარლამენტს და პრესას.
შედეგებზე მსჯელობები უნდა გაიმართოს ადგილობრივი პოლიციის უფროსსა და საზოგადოებრივ
საბჭოს შორის.

კანონმდებლობა

ახალი კანონები პოლიციის, პოლიციის სამსახურის, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის
შესახებ და პოლიციის ეთიკის კოდექსი უნდა შემუშავდეს. ამასთან დაკავშირებით მხედველობაში
მიღებული უნდა იქნას ევროსაბჭოს რეკომენდაციები.

სასამართლო ხელისუფლება

დამოუკიდებელი და სამართლიანი სასამართლოს ფორმირების ხელშეწყობის მიზნით
მიზანშეწონილად მიგვაჩნია რეფორმების გაგრძელება, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგი
ძირითადი პრინციპების ცხოვრებაში გატარებას:

სასამართლოს დამოუკიდებლობის კონსტიტუციური გარანტიები – კონსტიტუციის ღონეზე
სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის პრინციპებისა და მისი ფუნქციონირების
საფუძველების ასახვა არის ის ძირითადი ბაზისი, რომელიც უნდა იყოს ხელისუფლების სხვა
შტოებთან სასამართლო ხელისუფლების თანასწორობის, კონტროლისა და ბალანსის ფუნქციის

ნსტიტუციაში დეტალურად არის რეგლამენტირებული აღმასრულებელი შტოების ფორმირების, მართვის, საკითხები, უმთავრესი პრინციპების დონეზე სასამართლო საკითხები კონსტიტუციაში უნდა აისახოს. კერძოდ:

- მოსამართლეთა შეუცვლელობის პრინციპი;
- სასამართლო ხელისუფლების მართვის ორგანოს – იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შექმნის წესი და ფუნქციები;
- სასამართლო წყობილების შეცვლის საფუძვლები;
- მოსამართლეთა ფინანსური უზრუნველყოფისა და სასამართლოთა ფინანსური დამოუკიდებლობის გარანტიები.

სასამართლო ხელისუფლების მართვის ორგანო – საჭიროა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს იმგვარი ფორმირება და მისი კომპეტენციის იმდაგვარად განსაზღვრა, რაც რეალურად უზრუნველყოფს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობას და მოსამართლეთა უფლებების დაცვას, ასევე შემდგომი რეფორმების წარმართვას. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ახალ მოდელში, რომელიც კონსტიტუციით განისაზღვრება, წევრთა რაოდენობა იქნება ლუწი. მისადებია მოსამართლეთაგან *ex officio* შედიოდეს მხოლოდ საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, დანარჩენ წევრებს (ნახევარს) კი ირჩევდეს მოსამართლეთა კონფერენცია.

წარმატებული სამოსამართლო საქმიანობისათვის გამოცდილება ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია, ამიტომ მოსამართლეთა დაწინაურება ქვედა ინსტანციიდან ზევით უნდა მიმდინარეობდეს კარიერის პრინციპის – სასამართლო სისტემაში მსახურების გარკვეული ვადების დაცვით. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ, გამჭვირვალობისა და საზოგადოებრივი მონაწილეობის საფუძველზე, კანონით დადგენილი წესით, მოსამართლის საქმიანობის სამართლიანი და მიუკერძოებელი შეფასება შეიძლება დაედოს საფუძვლად სასამართლო სისტემაში მოსამართლის კარიერას.

სასამართლო ხელისუფლებისა და მოსამართლეთა სტატუსის ერთიანობის უზრუნველყოფა – საქართველოს კანონმდებლობაში უნდა გაჩნდეს შესაბამისი ჩანაწერი საქართველოს მოსამართლეთა სტატუსის ერთიანობის შესახებ: საქართველოს ყველა მოსამართლეს გააჩნია ერთიანი სტატუსი და მოსამართლეები განსხვავდებიან მხოლოდ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილებითა და კომპეტენციით – ინსტანციურობისა და განსჯადობის შესაბამისად. ყველა მოსამართლის სოციალური მდგომარეობა უნდა იყოს გარანტირებული ერთიანი კანონით მოსამართლეთა ფინანსური უზრუნველყოფის შესახებ.

მოსამართლეთა მომზადებისა და თანამდებობაზე დანიშვნის სისტემის დახვეწა – იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლეთა თანამდებობებზე გამწესებისათვის ორგანიზებული კონკურსის გამჭვირვალობამ უნდა უზრუნველყოს მოსამართლის თანამდებობაზე პროფესიული, პიროვნული და ეთიკური თვისებების მქონე პირთა დანიშვნა. ამ მიზნის მისაღწევად ასევე მნიშვნელოვანი იქნება იუსტიციის უმაღლესი სკოლის შექმნა, რომელიც კანონით დადგენილი წესით უზრუნველყოფს თეორიული და პრაქტიკული ცოდნით აღჭურვილ და პროფესიულად დახელოვნებულ მოსამართლეთა მომზადებასა და ასევე მათ გადამზადებას.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამთავრების შემდეგ, კანდიდატების გამწესების პროცესს კონკრეტულ სასამართლოში უხელმძღვანელებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

მოსამართლეთა შეუცვლელობა – მოსამართლეთა თანამდებობაზე ყოფნის ვადა, მათი დამოუკიდებლობა, ანაზღაურება, მსახურობის პირობები, პენსია და საპენსიო ასაკი აღიარებულია კანონით და დაცული უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ. მოსამართლეებს უზრუნველყოფილი უნდა ჰქონდეთ თანამდებობაზე ყოფნის ვადა საპენსიო ასაკამდე ან მათი მოსამართლედ ყოფნის ვადის ამოწურვამდე. მოსამართლე შეუცვლელია. სასამართლოს მოქმედი მოსამართლე არ შეიძლება სხვა სასამართლო თანამდებობაზე დაინიშნოს ან სხვაგან გამწესდეს, თუნდაც დაწინაურების გზით, მისი თავისუფალი თანხმობის გარეშე.

მოსამართლეთა უვადო დანიშვნის პრინციპი პირდაპირ კავშირშია სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის გაძლიერებასთან. მოსამართლეთა ათწლიანი დანიშვნა

ერის პრინციპის ამოქმედებასთან, ამიტომ მიზანშეწონილია (იანეს 5 წლის ვადაში) დაიწყოს მოსამართლეთა უვალო საძღებელია ეს დაიწყოს ჯერ უზუნაესი სასამართლოს საერცვლდეს სასამართლოს სხვა ინსტანციებზე.

მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური დევნა – საჭიროა დისციპლინური დევნის ორგანოს იმდაგვარი ფორმირება, რომელიც არ ხელყოფს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობას. სადისციპლინო საბჭოში მოსამართლეთა შერჩევა უნდა განახორციელოს მოსამართლეთა კონფერენციამ იუსტიციის უმაღლესი საბჭოსგან დამოუკიდებლად. ასევე სადისციპლინო საბჭოს ადგილსამყოფელი არ უნდა ემთხვეოდეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ადგილსამყოფელს, რაც ხელს შეუწყობს ამ ორგანოს დამოუკიდებლობის ზრდას. იუსტიციის უმაღლესი საბჭო განახორციელებს დისციპლინური დევნის პროცედურაში მხოლოდ ბრალდების ფუნქციას.

ასევე, უმნიშვნელოვანესია დევნის საფუძვლების ამომწურავი, მკაფიო და არაორაზროვანი ფორმულირება. დისციპლინური დევნის განმახორციელებელი ორგანოს განხილვის საგანი არ შეიძლება იყოს მოსამართლის გადაწყვეტილების სამართლებრივი მხარე. არ შეიძლება დისციპლინური დევნის და სააპელაციო და საკასაციო საფუძვლები ერთმანეთს კვეთავდეს, რადგანაც სასამართლო სისტემისა და მისი დამოუკიდებლობის არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ კონსტიტუციითა და შესაბამისი კანონმდებლობით სასამართლოთათვის მიკუთვნებულ საკითხთა განხილვისა და გადაწყვეტის უფლებამოსილება მხოლოდ მოსამართლეს გააჩნია და მისი გადაწყვეტილების კანონიერება შეიძლება გადამოწმდეს მხოლოდ სასამართლოს ზემდგომი ინსტანციების მიერ. აქედან გამომდინარე, “კანონის უხეში გადაცდომის” დეფინიცია მოითხოვს კიდევ უფრო მეტ კონკრეტიზირებას, რათა გამოირიცხოს ამ საფუძვლით მოსამართლეთა დისციპლინური დევნის მახინჯი პრაქტიკა.

მოსამართლეთა შრომის ანაზღაურების ზრდა, სასამართლოთა დაფინანსების უზრუნველყოფა და დამოუკიდებელი ბიუჯეტების მეშვეობით მათი ფინანსური ავტონომია – მოსამართლეთა სოციალური გარანტიები განსაზღვრული უნდა იყოს ცალკე კანონით. დაუშვებელია მოსამართლის ხელფასის შემცირება მისი უფლებამოსილების მთელი ვადის განმავლობაში. უფლებამოსილების დამთავრებისას ან საპენსიო ასაკის მიღწევისას, ასევე სასამართლოს ლიკვიდაციისას და მოსამართლეთა თანამდებობის რაოდენობის შემცირების შემთხვევაში, მოსამართლეს ენიშნება სამისდღემშიო პენსია.

სასამართლოს ბიუჯეტის პროექტის შედგენა თავად სასამართლოების კომპეტენციაა. სასამართლოები ბიუჯეტის პროექტს წარუდგენენ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მთავრობის მიერ საერთო ბიუჯეტის კანონში გასაწერად. იუსტიციის უმაღლესი საბჭო, გამჭვირვალობის საფუძველზე, კანონით დადგენილი წესით, მიიღებს გადაწყვეტილებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან სასამართლო ხელისუფლებისათვის გამოყოფილი სახსრების განაწილების თაობაზე, სასამართლოებიდან შემოსული საბიუჯეტო განაცხადების შესაბამისად. სასამართლოს საბიუჯეტო განაცხადს შეადგენს სასამართლოს თავმჯდომარე სასამართლოს მოსამართლეთა უმრავლესობის თანხმობით.

სასამართლო სისტემის სტრუქტურული რეორგანიზაცია – სასამართლოების სტრუქტურა, მათი შექმნისა და საქმიანობის წესი უნდა განისაზღვროს ორგანული კანონით. სასამართლო რგოლები ჩამოყალიბდება პირველი ინსტანციის, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებად, რასაც მოყვება საპროცესო ცვლილებები საქმეთა განსჯადობასთან დაკავშირებით.

შემოღებულ იქნება მაგისტრატის მოსამართლის ინსტიტუტი, რომელიც საერთო სასამართლოების სისტემის ქვედა რგოლის შემადგენელი ნაწილი გახდება. მაგისტრატმა მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს სწრაფი და ხალხთან დაახლოებული მართლმსაჯულების განხორციელება. მაგისტრატი მოსამართლე ერთპიროვნულად განიხილავს შუამდგომლობებს საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებათა გამოყენებაზე.

რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში მოსამართლე ერთპიროვნულად განიხილავს ნაკლებად მძიმე და მძიმე კატეგორიის სისხლის სამართლის დანაშაულებს, შუამდგომლობებს საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებათა გამოყენებაზე, მათი ვადის გაგრძელებაზე, ხოლო განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის საქმეებს – სამი მოსამართლის შემადგენლობით.

ისი უფლებამოსილებით იქნება მეორე ინსტანციის წესით განიხილავს საჩივრებს რაიონული (საქალაქო) სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა ეტაპებს განიხილავს კოლეგიურად, სამი მოსამართლის შემადგენლობით. სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე ერთპიროვნულად განიხილავს საჩივრებს საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებების გამოყენებაზე და მათი ვადის გაგრძელებაზე.

უზენაესი სასამართლო ჩამოყალიბდება წმინდა საკასაციო ინსტანციად, რომლის მთავარი ფუნქცია იქნება კანონის დინამიური და მახინჯიერებელი განმარტება და ამით სასამართლო პრაქტიკის ერთგვაროვნების უზრუნველყოფა, ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა იურიდიული უსაფრთხოების შენარჩუნება და მათი დაცვა. უზენაესი სასამართლო პირველი ინსტანციით განიხილავს მხოლოდ პრეზიდენტისა და პარლამენტის არჩევნების ბათილობის საკითხს. საქმეების განხილვა მოხდება კოლეგიურად, სამი მოსამართლის შემადგენლობით.

ამ მოდელის განხორციელების პირობებში ავტომატურად უქმდება პერსონალური განსჯადობა, რომელიც საქმეთა „მნიშვნელოვან“ და „უმნიშვნელო“ კატეგორიებად კლასიფიკაციის გამო ყოველთვის დავის საგანს წარმოადგენდა.

აპელაციისა და კასაციის საფუძვლების შეზღუდვა ასევე არის მიზანშეწონილი (ზოგიერთი კატეგორიის საქმე დამთავრდება რაიონულ და სააპელაციო სასამართლოებში და აღარ გასაჩივრდება სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში).

საქართველოს კონსტიტუციაში არსებული ჩანაწერის თანახმად ამოქმედდება ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი.

წინამდებარე კონცეფციის რეალიზაცია მოითხოვს შემდეგ ღონისძიებათა გატარებას:

1. კონცეფციით გათვალისწინებულმა საკონსტიტუციო ცვლილებებმა ასახვა უნდა ჰპოვოს კანონპროექტში საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ;
2. უნდა მომზადდეს კანონპროექტი საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში ცვლილებების შესატანად, რომელშიც უნდა აისახოს კონცეფციის დებულებები სასამართლო ხელისუფლების ერთიანობის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, მაგისტრატი მოსამართლის, რაიონული (პირველი), სააპელაციო (მეორე) და საკასაციო (საბოლოო) ინსტანციების და მოსამართლეთა შეუცვლელობის შესახებ;
3. შესაბამისი კანონით განისაზღვროს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღებასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხები;
4. მოსამართლეთა შრომის ანაზღაურების, სხვა სოციალური გარანტიებისა და სასამართლოთა დაფინანსების საკითხები უნდა აისახოს შესაბამის კანონმდებლობაში;
5. უნდა მომზადდეს კანონპროექტი (ან შესაბამისი ცვლილებები) დისციპლინური დევნისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ კანონის დახვეწის მიზნით;
6. სისტემის რეორგანიზაციის, განსჯადობის წესების შეცვლისა და კონცეფციით გათვალისწინებულ სხვა საკითხებზე შესაბამისი ცვლილებები უნდა იქნეს შეტანილი საპროცესო კანონმდებლობაში;

სასჯელთა აღსრულების სისტემა

სასჯელთა აღსრულების სისტემის რეფორმის მიზანი

მიზანი რომელსაც სასჯელთა აღსრულების სისტემის რეფორმა ემსახურება ადამიანის უფლებათა დაცვაზე და ადამიანის ღირსების პატივისცემაზე ორიენტირებული ჰუმანური და უსაფრთხო სისტემის შექმნაში მდგომარეობს, რაც მიღწეულ უნდა იქნას:

- პატიმართა უფლებების დაცვის რეალური და ეფექტური მექანიზმების შექმნის გზით;
- საქართველოს სისხლის სამართლებრივი კანონმდებლობით გათვალისწინებული სასჯელის მიზნებიდან, სამართალდამრღვევთა რესოციალიზაციაზე განსაკუთრებული ყურადღების დათმობით;
- პატიმართათვის დასაქმების, განათლების მიღებისა და სპორტით დაკავების შესაძლებლობის უზრუნველყოფით;
- გონივრულ ფარგლებში პატიმართა რიცხვის შემცირებით, როგორც წინასწარი პატიმრობის ასევე სასამართლოს შემდგომ სტადიაზე. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული,

ჯვლების მაქსიმალური გამოყენებისა და საჯელთა
ლი საცხოვრებელი პირობებისა და მომსახურების ღონის

- საპატიმრო დაწესებულებებში მყოფი მსჯავრდებული პირების კლასიფიკაციის, რისკ-ჯგუფებათ დაყოფისა და შესაბამის დაწესებულებებში განთავსების გზით;
- ნახევრად დახურული და ღია პენიტენციური დაწესებულებების ამოქმედების გზით;
- კრიმინალური ავტორიტეტებისა და მაღალი სოციალური რისკის მატარებელ მსჯავრდებულთა იზოლირებით პატიმართა საერთო მასისაგან და მათი მაქსიმალურად დაცულ საპატიმრო დაწესებულებებში განთავსების გზით;
- პასუხისმგებელი პერსონალის პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების, ადეკვატური ანაზღაურებითა და სოციალური გარანტიების უზრუნველყოფის გზით.

პატიმართა უფლებების რეალური და ეფექტური დაცვა

პატიმართა უფლებების ეფექტური დაცვა სასჯელთა აღსრულების სისტემის რეფორმირების ამოსავალ წერტილს წარმოადგენს. უფლებების დაცვა თავის გამოხატულებას საპატიმრო დაწესებულების ყოველდღიური ცხოვრების სხვადასხვა ასპექტში ჰპოვებს, თუმცა უმთავრესი მომენტი რაც გათვალისწინებულ უნდა იქნას საჯელთა სისტემის ჰუმანიზაციაა. აუცილებელია მოხდეს პატიმრობის ალტერნატიული სანქციების მაქსიმალური გამოყენება, როგორც წინასწარი გამოძიების ასევე მსჯავრდების შემდგომ სტადიებზე.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად საჭიროა:

1. მოხდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სანქციების გადახედვა და სანქციით გათვალისწინებული სასჯელის სახის, პატიმრობის შეცვლა სხვა ალტერნატიული სასჯელებით, ნაკლებად მძიმე განზრახი ან გაუფრთხილებელი დანაშაულების შემთხვევაში;
2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული იქნას მექანიზმი რომელიც მინიმუმამდე დაიყვანს წინასწარი გამოძიების სტადიაზე აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესაძლებლობას. სასამართლო განხილვის მომლოდინე პირის პატიმრობაში ყოფნა არ უნდა იყოს საერთო წესი და პირის სასამართლო განხილვამდე გათავისუფლება დაკავშირებული უნდა იყოს სასამართლოში მისი გამოცხადების გარანტიების წარდგენასთან.

ძირითადი უფლებები რომლითაც თავისუფლებააღკვეთილი პირები სარგებლობენ, და ამ უფლებებთან დაკავშირებული გარანტიები დეტალურად იქნება გაწერილი კანონმდებლობაში. ასეთ უფლებებს წარმოადგენენ: სიცოცხლისა და პირადი უსაფრთხოების უფლება, საჩივრის უფლება, დისკრიმინაციის აკრძალვა, რელიგიისა და რწმენის თავისუფლება, უფლება კლასიფიცირებასა და იზოლირებულ განთავსებაზე და სხვა.

პატიმართა ისეთი განსაკუთრებული ჯგუფები, რომლებშიც შედიან წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირები, არასრულწლოვნები, ქალები, უცხოელები და ფსიქიკურად შეურაცხადი პირები უნდა სარგებლობდნ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული უფლებებით. წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირებს საშუალება უნდა ჰქონდეთ შეხვედნენ ოჯახის წევრებსა და ადვოკატებს ყველანაირი უსაფუძვლო გაჭიანურების გარეშე. მათ ყოველთვის უნდა მიეცეთ მუშაობის შესაძლებლობა, თუმცა ეს არ მოეთხოვებათ და არ ევალებათ.

პატიმართა კლასიფიცირება და შესაბამისი განთავსება

პატიმრობასთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტები ითვალისწინებს პატიმართა უფლებას კლასიფიცირებასა და შესაბამის განთავსებაზე. აღნიშნული უფლების რეალიზებას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ერთის მხრივ უსაფრთხოების დაცვისა და მეორეს მხრივ მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის თვალსაზრისით.

აუცილებელია შეიქმნას მსჯავრდებულთა ჯგუფებად დაყოფის/კლასიფიცირების ეფექტური მექანიზმი, რომელიც შესაძლებელს გახდის პატიმართა ინდივიდუალურ შეფასებას კომპლექტური პერსონალის მიერ; რის შედეგადაც მოხდება მათი რისკ-ჯგუფებად დაყოფა და განთავსება სხვადასხვა კატეგორიის დაწესებულებებში.

სხვადასხვა ტიპის დაწესებულებებს შორის განსხვავება უნდა მდგომარეობდეს ორ ძირითად ასპექტში:

ხობების ხარისხი, რომელიც გულისხმობს განსხვავებას:

პრობებს შორის (კონსტრუქციის ტიპი, პერიმეტრის ტიპი,

- ის ტექნიკური სასაქონლო სილინს რომელიც გამოიყენება დაწესებულებათა დაცვისა და პატიმართა გადაადგილების მონიტორინგისათვის;
- უსაფრთხოებისა და დაცვის პროცედურულ წესებს შორის;
- 2. განსხვავება პროგრამებსა და პრვილეგიებს შორის რომლითაც პატიმრები სარგებლობენ. აქ იგულისხმება:
- მსჯავრდებულთა ღია და ნახევრად ღია დაწესებულებებში განთავსების შესაძლებლობა;
- დაწესებულებაში გადაადგილების თავისუფლების ხარისხი;
- განსხვავება რომელიც შეიძლება არსებობდეს პატიმართა დასაქმებისა და განათლების მიღების შესაძლებლობებს შორის;
- დაწესებულების გარკვეული დროით დატოვების, ხანგრძლივი და ხანმოკლე შეხვედრებით, სატელეფონო და წერილობითი კომუნიკაციებით სარგებლობის შესაძლებლობა.

პატიმართა განთავსება და მათი კლასიფიცირება უნდა იყოს პენიტენციური სამსახურის პრეროგატივა. მათ შორის პენიტენციური სამსახური უნდა წყვეტდეს თუ რა ტიპის საპატიმრო დაწესებულებაში და რა დროით მოხდება ამა თუ იმ მსჯავრდებულის განთავსება; აღნიშნულმა სამსახურმა უნდა გადაწყვიტოს პატიმრის პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების საკითხიც, მას შემდეგ რაც სასამართლო დაადგენს თავისუფლების აღკვეთის მაქსიმუმ ვადას.

პენიტენციურ სისტემაში იარსებებს სამი ძირითადი ტიპის საპატიმრო დაწესებულება: ღია, ნახევრად ღია და დახურული. გამომდინარე მსჯავრდებულ პირთა უსაფრთხოების ხარისხიდან დახურული ტიპის დაწესებულებაც თავის მხრივ შეიძლება ორ კატეგორიად დაიყოს.

პატიმართა სამედიცინო მომსახურება

პატიმართა უფლება ფიზიკური და ფსიქიკური ჯანრთელობის დაცვაზე წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ფუნდამენტურ უფლებას, რომელიც უშუალო კავშირშია სიცოცხლის უფლებასთან. მსჯავრდებულთა ჯანმრთელობაზე ზრუნვა სახელმწიფოს უპირატესი მოვალეობაა. ამასან, გასათვალისწინებელია ის ფაქტი რომ, სამედიცინო მომსახურების დონე საპატიმრო დაწესებულებებში უნდა შეესაბამებოდეს საზოგადოებაში არსებულ დონეს და უნდა იყოს აუცილებლად უფასო.

პატიმართა სამედიცინო მომსახურების სისტემაში საჭიროა გატარდეს შემდეგი სახის ღონისძიებები:

- უნდა შემუშავდეს იუსტიციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის ჯანდაცვის სამინისტროში გადასვლის საფეხუროვანი გეგმა;
- უნდა გამოიყოს სამი სხვადასხვა დონის სამსახური:
 - I დონე - ამბულატორიული და საშუალო სიმძიმის პაციენტთა სტაციონარული დახმარება;
 - II დონე - რეგულარული სათაო სამედიცინო სამსახური, რომელსაც შეუძლია ამბულატორიული და სტაციონარული დახმარება გაუწიოს საშუალო სიმძიმისა და ზოგიერთი პროფილის მძიმე დაავადების მქონე პაციენტს;
 - III დონე - ჯანდაცვის სამინისტროს ობიექტი, სადაც შესაძლებელია მძიმე და გადაუდებელ შემთხვევათა დახმარება.
- უნდა მოხდეს სამივე დონის სამედიცინო დაწესებულებათა აღჭურვა ადეკვატური სამედიცინო აპარატურით;
- უნდა მოხდეს სამივე დონის სამედიცინო დაწესებულებათა უზრუნველყოფა პერსონალის საჭირო რაოდენობით;
- უნდა მოხდეს საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბება რომელიც აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით ახლებურად მოაწესრიგებს მსჯავრდებულ და წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირთა სამედიცინო მომსახურების საკითხებს.

საპატიმრო დაწესებულებათა ადმინისტრირება და მენეჯმენტი

ძირების ერთ-ერთ უმთავრეს ელემენტს წარმოადგენს მის რეფორმირება.

ეტაპობრივი დეცენტრალიზაცია და უფლებამოსილებების ინანსო მიმართულებით. დეცენტრალიზაცია ასევე უნდა

გულისხმობდეს ადგილობრივი ადმინისტრაციისათვის მენეჯმენტთან დაკავშირებულ საკითხებზე უფრო ფართო დისკრეციული უფლებამოსილების მინიჭებას, კერძოდ, ორგანიზაციული სტრუქტურის განვითარება (ჯგუფსა და შედეგზე დაფუძნებული სტრუქტურები), პერსონალის განვითარება, შეფასება და სხვა.

დეცენტრალიზაციის პარალელურად, ბიუჯეტის არამიზნობრივი ხარჯვისა და კორუფციის ფაქტების გამორიცხვის მიზნით აუცილებელია გაძლიერდეს ცენტრალიზებული შიდა უწყებრივი კონტროლის მექანიზმები.

პერსონალის მომზადება და გადამზადება

ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის სისტემის რეფორმა და მართვის დეცენტრალიზაცია წარმოუდგენელია პერსონალის პროფესიული კვალიფიკაციის დონის ამაღლების გარეშე. აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად უნდა მოხდეს სპეციალიზირებული სასწავლო ცენტრის ჩამოყალიბება, რომელიც მოემსახურება როგორც პენიტენციური ასევე პრობაციის სამსახურის თანამშრომელთა პროფესიონალურ მომზადებასა და გადამზადებას. სასწავლო ცენტრი იქნება იუსტიციის სამინისტროზე დაქვემდებარებული ავტონომიური სტრუქტურული ერთეული.

ზემონსენებული პროცესების თანმდევი ფაქტორი უნდა გახდეს პენიტენციური და პრობაციის სამსახურების პერსონალის სოციალური პირობების გაუმჯობესება, რაც უპირველეს ყოვლისა ხელფასის ზრდასა და კანონმდებლობით სოციალური გარანტიების გათვალისწინებაში უნდა გამოიხატოს. პენიტენციური დეწესებულებების პერსონალი უნდა სარგებლობდეს ისეთივე სოციალური შეღავათებით როგორც პოლიციისა და სასაზღვრო ძალები.

პენიტენციური სისტემის ინსპექტირება და მონიტორინგი

ადამიანის უფლებათა ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესრულებაზე კონტროლისა და საპატიმრო დაწესებულებების მუშაობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით აუცილებელია განხორციელდეს რეგულარული ინსპექტირება, ამისათვის სათანადო ცოდნისა და მოზადების მქონე ადამიანების მიერ. ინსპექტირების ეფექტურობის მაღალი ხარისხის მისაღწევად იუსტიციის სამინისტროს შიდა უწყებრივი კონტროლის მექანიზმთან ერთად უნდა მოქმედებდეს საზოგადოებრივი კონტროლის პერმანენტული მექანიზმი.

შიდა უწყებრივი ინსპექტირება

პენიტენციურ დაწესებულებებში უნდა ტარდებოდეს რეგულარული ინსპექტირება კვალიფიციური და გამოცდილი ინსპექტორების მიერ. ამ თვალსაზრისით საჭიროა მოხდეს იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციასა და მონიტორინგისა და რეფორმის დეპარტამენტს შორის უფლებამოსილებათა მკვეთრი გამიჯვნა, ადამიანური და მატერიალური რესურსების ოპტიმალურად გამოყენების მიზნით.

საზოგადოებრივი მონიტორინგი

იმისათვის რომ ინსპექტირების შედეგად მაქსიმალური ეფექტი იქნას მიღწეული, აუცილებელია არსებობდეს უწყებრივი დაქვემდებარებისაგან თავისუფალი საზოგადოებრივი მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც ორ დონედ იქნება დაყოფილი:

I – საპატიმრო დაწესებულებებთან არსებული საზედამხედველო კომისიები, რომლებიც დაკომპლექტებულ იქნება ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენლებისაგან;

II – ცენტრალური მაკორდინირებელი კომისია, რომელიც დაკომპლექტებულ იქნება საზოგადოების წარმომადგენლებით, რომლებიც სარგებლობენ მაღალი ავტორიტეტით და აქვთ გამოცდილება ადამიანის უფლებათა სფეროში.

ალტერნატიულ სასჯელთა მოხდა – პრობაციის სამსახური

გამომდინარე იქედან რომ, საჯელთა სისტემის ჰუმანიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიული სასჯელების გამოყენებაა, აუცილებელია შეიქმნას არა მხოლოდ საკანონმდებლო, არამედ პრაქტიკული და მატერიალური გარანტიები ალტერნატიულ სასჯელთა გამოყენებისათვის. უმთავრესი საკითხი, რომელიც მოწვევრივებას საჭიროებს არის: არასაპატიმრო სასჯელებისა და პრობაციის სამსახურის განვითარების

სახური არის ალტერნატიულ სასჯელთა იმპლემენტაციაზე
ების მიზნით, აუცილებელია გატარებულ იქნას შემდეგი

- უნდა განისაზღვროს პრობაციის სამსახურის სტატუსი იუსტიციის სამინისტროს შემადგენლობაში;
- უნდა მოხდეს სამსახურის თანამშრომელთა რაოდენობის ზრდა არსებული საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით (არსებული სტანდარტების შესაბამისად ერთ პრობაციის ოფიცერზე შეიძლება მოდიოდეს მაქსიმუმ ორმოცი პრობაციონერი); პარალელურად უნდა განხორციელდეს პერსონალის პროფესიული მომზადება/გადამზადება და ანაზღაურების ზრდა;
- უნდა მოხდეს პრობაციის ბიუროების უზრუნველყოფა ოფისებით, საჭირო საოფისე ინვენტარით და სატრანსპორტო საშუალებებით;
- უნდა მოხდეს პენიტენციური სისტემის ანალოგიური ელექტრონული ინფორმაციის გადაცემის ქსელის შექმნა, რომელიც პრობაციის რეგიონალურ ბიუროებს პრობაციის ლეპარტამენტთან დააკავშირებს;
- უნდა ჩამოყალიბდეს მჭიდრო კავშირი პენიტენციურ და პრობაციის სამსახურებს შორის;
- პრობაციის ოფიცერი აქტიურად უნდა იყოს ჩართული სამართალწარმოების სხვადასხვა სტადიაზე, პატიმართა რეაბილიტაციისა და გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესში;
- არსებული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით უნდა ჩამოყალიბდეს მჭიდრო ურთიერთობები იმ ქვეყნებთან, რომელთაც გააჩნიათ პრობაციის სამსახურის არსებობის ხანგრძლივი ტრადიციები.

სახალხო დამცველი

სახალხო დამცველის კონსტიტუციური სტატუსი
დაიხვეწოს სახალხო დამცველის კონსტიტუციური სტატუსი და გაფართოვდეს ინსტიტუტის კონსტიტუციური რეგულირების ფარგლები

საჭიროა გაფართოვდეს სახალხო დამცველის საკონსტიტუციო რეგულირების ფარგლები. კერძოდ შეიქმნას კონსტიტუციის თავი სახალხო დამცველის შესახებ, სადაც გაიწერება შექმნის წესი, საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, დამოუკიდებლობის გარანტიები და დათხოვნის წესი. კონსტიტუციური რეგულირების გაფართოვება ხელს შეუწყობს სახალხო დამცველის ინსტიტუტის გაძლიერებას და გაზრდის მის კონტროლს ადმინისტრაციულ ორგანოებზე.

დაიხვეწოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის გარანტიები

ეფექტური სახალხო დამცველის ინსტიტუტი დამოუკიდებელი უნდა იყოს პოლიტიკური ზეგავლენისგან. ამისათვის:

ა. საჭიროა შეიცვალოს დანიშვნის ვადა და აიკრძალოს ორი ვადით დანიშვნა

საჭიროა გაიზარდოს სახალხო დამცველის უფლებამოსილების ვადა, 5 წლიდან 7-8 წლამდე. საჭიროა აიკრძალოს ორი ვადით დანიშვნა. ამით შეიქმნება დამატებითი წინაპირობა დამოუკიდებელი სახალხო დამცველის ჩამოსაყალიბებლად, ვინაიდან არ იარსებებს ვადის გახანგრძლივების მოტივიცია.

ბ. საჭიროა შეიცვალოს დანიშვნის პროცედურები

მნიშვნელოვანია თუ შეიქმნება დანიშვნის გამჭვირვალე და დეპოლიტიზირებული პროცედურა საზოგადოებრივი განხილვის შესაძლებლობებით, რომელიც უზრუნველყოფს ობიექტურ და მიუკერძოებელ შერჩევის პროცესს.

გ. საჭიროა დაიხვეწოს სახალხო დამცველის დათხოვნის პროცედურა

სახალხო დამცველის დათხოვნისას უნდა მოქმედებდეს იმპიჩმენტის პროცედურა, რათა მოხდეს მისი დაცვა პოლიტიკური ზეწოლისგან. სახალხო დამცველის ინსტიტუტის საქმიანობის დიდი ხნით შეფერხების თავიდან ასაცილებლად ახალი სახალხო დამცველის დანიშვნა უნდა მოხდეს დათხოვნისგან მაქსიმუმ სამი თვის ვადაში. სახალხო დამცველის დათხოვნის საფუძვლები და წესი უნდა მოწესრიგდეს კონსტიტუციით.

დ. საჭიროა დაიხვეწოს კრიტერიუმები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს სახალხო დამცველის თანამდებობის კანდიდატი

ობაზე დასანიშნი პირი უნდა აკმაყოფილებდეს ისეთ
ქართველოს მოქალაქეობა, უმაღლესი განათლება, მუშაობის
ართლის, მედიის, განათლების სფეროში.

სახალხო დამცველის ინსტიტუტის ხელმისაწვდომობა

მნიშვნელოვანია შეიქმნას ძლიერი რეგიონული ოფისები, რომელიც გეოგრაფიულად
მოიცავენ საქართველოს მთელ ტერიტორიას. ყოველი რეგიონალური ოფისი ავტონომიურად უნდა
იღებდეს მოქალაქეთა განცხადებებს და სახალხო დამცველის მითითებების თანახმად
ახორციელებდეს უფლებათა დაცვისა და ადმინისტრაციული ორგანოების მონიტორინგის ერთიან
კამპანიას.

ომბუდსმენის ინსტიტუტი ხელმისაწვდომობისა და მომჩივანთა დაცვის უზრუნველყოფის
მიზნით საჩივრის ავტორისთვის გარანტირებული უნდა იყოს ანონიმურობა, თუ ამას თავად
მოითხოვს საჩივრის ავტორი. ანონიმურობის უზრუნველსაყოფად სახალხო დამცველმა უნდა
შექმნას სპეციალური შიდა განაწესები.

სახალხო დამცველის ურთიერთობა მედიასა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან

ომბუდსმენი ქმნის მედიასა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ურთიერთობის ისეთ
ფორმებს როგორცაა პარტნიორობა, ერთობლივი საქმიანობა და სხვ. სახალხო დამცველს უნდა
ჰქონდეს საშუალება წარმოადგენლობითი უფლებამოსილება მიანიჭოს საზოგადოებრივ
ორგანიზაციებს, გამოიყენოს მათი ექსპერტიზა და ა.შ.

უფლებამოსილებები

ადამიანის უფლებათა დარღვევებთან ბრძოლის და საკანონმდებლო პროცესში
მონაწილეობის, ასევე ადმინისტრაციულ ორგანოების საქმიანობაზე მონიტორინგის ეფექტურად
განხორციელების მიზნით, უნდა გატარდეს შემდეგი ცვლილებები:

- ა. გაფართოვდეს საკანონმდებლო ორგანოს მუშაობაში მისი მონაწილეობის შესაძლებლობები;
- ბ. სახალხო დამცველს მიეცეს ადმინისტრაციულ ორგანოებზე დამატებითი ადმინისტრაციული
კონტროლის განხორციელების მექანიზმები.

მედიაცია

მედიაციის პროცედურის არსებობა ხელს შეუწყობს მოქალაქესა და ადმინისტრაციულ
ორგანოს შორის წამოჭრილი პრობლემის მოგვარებას მცირე ვადებში ნაკლები რესურსების
გამოყენებით. მედიაციის პროცესი წარმოადგენს მოლაპარაკებას დაზარალებულსა და
ადმინისტრაციული ორგანოს თანამშრომელს ან ადმინისტრაციულ ორგანოს შორის, ვის
წინააღმდეგაც შეტანილია საჩივარი. მედიატორის როლს პროცესში თამაშობს სახალხო დამცველი.
მედიაციის პროცედურა მხოლოდ მაშინ უნდა იყოს შესაძლებელი, როდესაც მხარეები თანახმა
არიან მის წამოწყებაზე და კონკრეტული დარღვევა არ წარმოადგენს ადამიანის უფლებათა უხეშ
ხელყოფას.

ა. რეკომენდაცია

სახალხო დამცველი შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომელიც გადაეცემა შესაბამის ორგანოს
რეაგირებისთვის. სახალხო დამცველს უფლება უნდა ჰქონდეს გასცეს რეკომენდაცია, როგორც
დისციპლინური წესით დამრღვევის დასჯაზე, ასევე მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი
დევნის წამოწყებაზე.

ბ. ადმინისტრაციული ორგანოთა მონიტორინგი

კორუფციისა და ადმინისტრაციული დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლისათვის, სახალხო
დამცველის როლის გააზრება უნდა მოხდეს ადმინისტრაციულ ორგანოებში სისტემური
პრობლემების აღმოფხვრის მიმართულებით.

მნიშვნელოვანია სახალხო დამცველს გადაეცეს ადმინისტრაციულ ორგანოებში სისტემური
დარღვევების მოძიებისა და მათზე რეაგირების უფლებამოსილება. აღნიშნული მექანიზმი
გულისხმობს სახალხო დამცველის უფლებას შეამოწმოს ადმინისტრაციული ორგანოს
პროცედურები, რამდენად გამჭვირვალეა მისი მუშაობა და რამდენად არის დაცული
ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნები. დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში სახალხო დამცველს
უფლება აქვს რეკომენდაციით მიმართოს ადმინისტრაციულ ორგანოს. ადმინისტრაციული ორგანო

დამცველის რეკომენდაციები, უარი რეკომენდაციის

ბლობები საკანონმდებლო ორგანოსთან

არსებული ჩარჩოები უნდა გაფართოვდეს და სახალხო

დამცველს მიეცეს შესაძლებლობა:

ა. დაესწროს კომიტეტის სხდომებს და მონაწილეობა მიიღოს სხდომაში სათათბირო ხმის უფლებით;

ბ. ადამიანის უფლებათა საკითხებთან დაკავშირებით მოითხოვოს საპარლამენტო კომიტეტის მოსმენა. კომიტეტის მხრიდან უარი უნდა იყოს დასაბუთებული.

წლიური ანგარიშის პარალელურად, სახალხო დამცველს უნდა შეეძლოს პარლამენტისათვის მოხსენების წარდგენა სასესიო პერიოდში, ან საგანგებო სხდომის მოწვევა არასასესიო პერიოდში, პარლამენტის თავმჯდომარესთან შეთანხმებით ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევების თავიდან აცილების ან მათი აღმოფხვრის მიზნით.

სახალხო დამცველის უფლება მიმართოს სასამართლოს (ეს დებულება ჯერ კიდევ განხილვის პროცესშია)

სახალხო დამცველს უფლება აქვს საკუთარი ინიციატივით წარსდგეს სასამართლოს წინაშე *Amicus Curiae*-ს ანუ სასამართლო ამხანაგის როლში და მოახსენოს სასამართლოს საკუთარი პოზიცია განსახილველ საკითხთან მიმართებაში.

ადამიანის უფლებათა განსაკუთრებით უხეში დარღვევების აღმოჩენისას სახალხო დამცველს თავად უნდა ჰქონდეს უფლება კასაციით მიმართოს უზენაეს სასამართლოს. ამ შემთხვევაში შესაძლებელია კანონმდებლობით განისაზღვროს კასაციის გაზრდილი ვადები, თუმცა ეს არ უნდა აღემატებოდეს ექვს თვეს სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან.

სახალხო დამცველს უნდა შეეძლოს რეკომენდაციით მიმართოს სამართალდამცავ ორგანოებს კონკრეტული დარღვევის ფაქტზე კონკრეტული ბრალდებული პირის მიმართ დისციპლინური ღონისძიებების გამოყენების შესახებ.

სამართლებრივი ბერკეტები სახალხო დამცველის უფლებამოსილებათა განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით

სახალხო დამცველის საქმიანობისთვის ხელის შეშლა არსებული კანონმდებლობით ისჯება ადმინისტრაციული წესით. არსებული მექანიზმი უნდა დარჩეს და მისი ეფექტურობის გაზრდის მიზნით უნდა გაიზარდოს ჯარიმის ოდენობა.

სახალხო დამცველს უნდა მიეცეს დისკრეციული უფლება დააკისროს ჯარიმა სახელმწიფო ორგანოებს მათ მიერ მოქალაქეთა კანონიერი უფლებების დარღვევის შემთხვევაში. სახალხო დამცველის უფლება დააკისროს ჯარიმა და განსაზღვროს ჯარიმის ოდენობა, კანონით განსაზღვრულ ფარგლებში, უნდა განეკუთვნებოდეს მისვე დისკრეციას და გადაწყვეტილება უნდა მიიღებოდეს ყოველი კონკრეტული შემთხვევის შეფასების საფუძველზე. ადმინისტრაციული ორგანოსთვის ჯარიმის დაკისრების შემთხვევაში ჯარიმის თანხა გადაიხდება ბიუჯეტის სასარგებლოდ, თუმცა ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა ჰქონდეს უფლება სასამართლო წესით გაასაჩივროს სახალხო დამცველის გადაწყვეტილება. სახალხო დამცველის მიერ ჯარიმის დაკისრების შემდეგ ადმინისტრაციულ ორგანოზე, მოქალაქეს უფლება უნდა მიეცეს დაჩქარებული წესით მოითხოვოს სასამართლოსგან დავის განხილვა და მისთვის კომპენსაციის გადახდა.

სახალხო დამცველის აპარატი

საკუთარი უფლებამოსილებების ეფექტურად განხორციელების მიზნით სახალხო დამცველი ქმნის აპარატს, სადაც გამოდიებისა და სასამართლოში წარმომადგენლობის ფუნქციების განხორციელების მიზნით უნდა ჰყავდეს იმავე კვალიფიკაციის თანამშრომლები, როგორც ეს სხვა გამოდიების თუ ბრალდების ორგანოებშია.

შეიქმნას ფინანსური დამოუკიდებლობის გარანტიები

სტაბილური დაფინანსების გარანტიები განისაზღვროს კონსტიტუციითა და კანონით

სახალხო დამცველისათვის, თავისი უფლებამოსილებების განხორციელებისას, მნიშვნელოვანია ფინანსურად დამოუკიდებელი იყოს ადმინისტრაციული ორგანოებისგან, რათა შეინარჩუნოს ობიექტურობა და მოუკერძოებლობა. დამოუკიდებლობის მთავარი გარანტი ფინანსური სტაბილურობაა, რაც დღეს არასაკმარისად არის ასახული კანონმდებლობაში.



PDF Complete
Your complimentary use period has ended.
Thank you for using PDF Complete.

[Click Here to upgrade to Unlimited Pages and Expanded Features](#)

მხედველობაში გვაქვს შემდეგი პროცედურები:
 ბ. მინისტრის ბიუჯეტის პროექტი და წარუდგინოს
 ატანად, მთავრობის ამ პროცესში ყოველგვარი ჩარევის

- ბ. სახალხო დამცველის საქმიანობისთვის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხა არ უნდა იყოს წინა წლის ბიუჯეტზე ნაკლები;
 - გ. კანონით განისაზღვროს სახალხო დამცველის ბიუჯეტის მინიმალური ზღვარი მშპ-ს დადგენილი პროცენტის სახით;
 - დ. ბიუჯეტი იმდაგვარად უნდა იქნეს შედგენილი, რომ უზრუნველყოს სახალხო დამცველის დამოუკიდებელი და ეფექტური საქმიანობა საკუთარი უფლებამოსილებების სრულად განსახორციელებლად.
- ჩამოთვლილი გარანტიები უნდა დარეგულირდეს კონსტიტუციით და შესაბამისი კანონმდებლობით.

უფასო სამართლებრივი დახმარების სისტემა

იურიდიული დახმარების სისტემა

საქართველოს იურიდიული დახმარების სისტემის სქემატური სურათი შემდეგნაირი იქნება:

1. სისტემის სათავეში დგას იურიდიული დახმარების კომისია, რომელიც იურიდიული დახმარების სისტემის კონტროლისათვის იქმნება და 7 წევრისაგან შედგება;
2. იურიდიული დახმარების სისტემის შემდეგ რგოლს იურიდიული დახმარების საბჭო წარმოადგენს. სწორედ საბჭო ახორციელებს სისტემის კოორდინაციას მთელი ქვეყნის მასშტაბით;
3. იურიდიულ დახმარებას გასწევინ და პირებს სამართლებრივ მომსახურებას უწევენ იურიდიული დახმარების ბიუროები;
4. იურიდიული დახმარების სისტემის დამატებით ელემენტებს წარმოადგენენ ადვოკატები, რომელთაც ადვოკატთა კანონის შესაბამისად ეკისრებათ უფასო მომსახურების ვალდებულება, აგრეთვე, კერძო სამართლის ის იურიდიული პირები, რომელნიც საგადასახადო შეღავათების სანაცვლოდ ეწევიან სამართლებრივ მომსახურებას იურიდიული დახმარების სისტემის ფარგლებში.

იურიდიული დახმარების კომისია

იურიდიული დახმარების სისტემის სათავეში დგას იურიდიული დახმარების კომისია, რომელიც იურიდიული დახმარების სისტემის კონტროლისათვის იქმნება და 7 წევრისაგან შედგება. იურიდიული დახმარების კომისიის სხდომები საჯაროა. იურიდიული დახმარების კომისიის სხდომებს თავმჯდომარეობს სახალხო დამცველი. იურიდიული დახმარების კომისიის სხდომები ტარდება წელიწადში ერთხელ მაინც. აუცილებლობის შემთხვევაში კომისიის წევრის ინიციატივით მოიწვევა კომისიის რიგგარეშე სხდომა.

იურიდიული დახმარების საბჭო

იურიდიული დახმარების კომისია ზოგადი გადაწყვეტილებების მიღებისათვის იქმნება, ხოლო იურიდიული დახმარების სისტემის პოლიტიკის განსაზღვრისა და მართვის უფლება კი კონცეფციის თანახმად, კანონმდებლობამ სპეციალურად შექმნილ დამოუკიდებელ ორგანოს – იურიდიული დახმარების საბჭოს უნდა მიანიდოს. იგი კანონის საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი იქნება.

იურიდიული დახმარების საბჭოს წევრებს 3 წლის ვადით, ღია კონკურსის წესით ირჩევს იურიდიული დახმარების კომისია. იურიდიული დახმარების საბჭოს წევრი უნდა იყოს იურიდიული განათლების მქონე საქართველოს მოქალაქე. იურიდიული დახმარების საბჭო თავის წევრთაგან ხმათა უმრავლესობით ირჩევს თავმჯდომარეს 3 წლის ვადით.

საბჭოს უნდა მიენიჭოს შემდეგი უფლებამოსილება:

- სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მოთხოვნათა დაცვით შეისყიდის კერძო სამართლის იურიდიულ პირთა სამართლებრივ მომსახურებას;
- ადგენს სატენდერო პირობებს ტენდერში მონაწილე სუბიექტთათვის;

ბიუროებს საქართველოს იმ ტერიტორიულ ერთეულებში, მოვლენა;

დახმარების ერთიანი სქემის მონაწილის ნებართვას იმ

კონსოლიდირებული ბიუროები, რომელთაც სურთ სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი უფასო იურიდიული დახმარების ფარგლებში გასწიონ მომსახურება, მაგრამ სარგებლობენ დაფინანსების არასაბიუჯეტო წყაროებით, განსაზღვრავს კრიტერიუმებს ამგვარი ნებართვის გასაცემად;

- რეგისტრაციაში ატარებს იმ კერძო საადვოკატო ოფისებს, რომელნიც შეღავათების სანაცვლოდ უფასოდ ემსახურებიან ადამიანებს ამ კანონით დადგენილი წესით;
- განსაზღვრავს იურიდიული დახმარების ბიუროებში დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურების სარგოებს, განსაზღვრავს ადვოკატთა სახელფასო განაკვეთებს;
- იხილავს იურიდიულ მომსახურებაზე უარის საფუძვლებს, მისი გასაჩივრების შემთხვევაში;
- ახორციელებს მუდმივ მონიტორინგს იურიდიული დახმარების ბიუროთა საქმიანობაზე;
- მოიძიებს დაფინანსების დამატებით წყაროებს;
- ადგენს იურიდიული დახმარების ბიუროთა ანგარიშგების წესსა და ფორმას;
- ახდენს იურიდიული დახმარების სისტემის პოპულარიზაციას, ატარებს საინფორმაციო კამპანიას, რომლის ფარგლებშიც ეწევა საგამომცემლო საქმიანობას.
- ყოველი წლის დასაწყისში იურიდიული დახმარების კომისიის წევრებს წარუდგენს მომავალი წლის ფინანსურ გეგმას, ხოლო წლის დასასრულისათვის – ანგარიშს შესრულებული სამუშაოს შესახებ.

იურიდიული დახმარების ორგანიზება საქართველოში

ა. იურიდიული დახმარების ბიურო

საქართველოს იურიდიული დახმარების სისტემის ძირითადი ერთეული, რომელიც იურიდიულ მომსახურებას გასწევს, როგორც უკვე აღინიშნა იურიდიული დახმარების ბიუროა.

იურიდიული დახმარების ბიუროთა სამოქმედო არეალი, შემოიფარგლება გარკვეული წინასწარ დადგენილი ტერიტორიით, იურიდიული დახმარების ზონით.

იურიდიული დახმარების ბიურო შეიძლება იყოს კერძო სამართლის იურიდიული პირი, ან იურიდიული პირის ფილიალი, რომელიც კონკურსის საფუძველზე შეიჩივება იურიდიული მომსახურების მიმწოდებლად. სადაც ამგვარი მიმწოდებლის გამოვლენა არ მოხდება, იურიდიული დახმარების ბიუროს იურიდიული დახმარების საბჭო შექმნის.

იურიდიული დახმარების ბიუროს სტატუსის მოპოვების შემდეგ, მისი უფლებამოსილების ვადის განმავლობაში, დაუშვებელია ანაზღაურებადი სამართლებრივი მომსახურების გაწევა. იმ შემთხვევაში, როდესაც სისტემის ფარგლებში იურიდიულ მომსახურებას კერძო სამართლის იურიდიული პირის ერთი განყოფილება/სტრუქტურული დანაყოფი ახორციელებს, იურიდიული დახმარების ბიუროს უფლებამოსილებით მხოლოდ შესაბამისი სტრუქტურული დანაყოფი სარგებლობს. ამრიგად შეზღუდვა ამ პირის სხვა საქმიანობაზე არ გავრცელდება.

კერძო სამართლის იურიდიული პირისათვის იურიდიული დახმარების ბიუროს სტატუსის მოპოვების საფუძველია:

- იურიდიული დახმარების საბჭოსთან იურიდიული მომსახურების შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადება;
- იურიდიული დახმარების საბჭოს მიერ საქართველოს იურიდიული დახმარების ერთიანი სქემის მონაწილის ნებართვის მინიჭება.

იმ შემთხვევაში, როცა არსებობს იურიდიული დახმარების ბიუროს შექმნის საფუძველი, იურიდიული დახმარების საბჭო აქვეყნებს განცხადებას იურიდიული მომსახურების შესყიდვაზე ტენდერის ჩატარების შესახებ. ტენდერი ტარდება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით.

იურიდიული დახმარების ერთიანი სქემის მონაწილის ნებართვა გაიცემა კერძო სამართლის იურიდიული პირზე, რომელსაც სურს გახდეს საქართველოს იურიდიული დახმარების სისტემის ნაწილი, მაგრამ უფლებამოსილების განხორციელებისას ისარგებლოს დაფინანსების არასაბიუჯეტო წყაროებით. აღნიშნული კერძო სამართლის იურიდიული პირი სრულად უნდა აკმაყოფილებდეს

მენტაციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ფინანსური
რს იურიდიული დახმარების ბიუროს სტატუსი ენიჭება 3

კერძო სამართლის იურიდიულ პირსა და იურიდიული დახმარების საბჭოს შორის დადებული ხელშეკრულება სამართლებრივი მომსახურების შესყიდვის შესახებ, აგრეთვე, იურიდიული დახმარების ერთიანი სქემის მონაწილის ნებართვა იურიდიული დახმარების საბჭოს გადაწყვეტილებით ვადაძღვე წყვეტს მოქმედებას იმ შემთხვევაში, თუ იურიდიული დახმარების ბიურო ვერ უზრუნველყოფს მასზე დაკისრებულ მოვალეობათა ჯეროვან შესრულებას. იურიდიული დახმარების ბიუროს სტატუსის ვადაძღვე ჩამორთმევის შემთხვევაში, კერძო სამართლის იურიდიული პირი ანაზღაურებს მისთვის ამ კანონის შესაბამისად გადაცემულ თანხას, გარდა იმ თანხისა, რომელიც სტატუსის შეწყვეტამდე იქნა დახარჯული. იურიდიული დახმარების ბიუროს სტატუსის ჩამორთმევის შესახებ იურიდიული დახმარების საბჭოს გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს სასამართლოში.

კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც იურიდიული დახმარების ბიუროს სტატუსი მიენიჭება, თავისი (ბიუროს) უფლებამოსილების ვადის განმავლობაში გათავისუფლებულია მოგების გადასახადისაგან. (ამასთან დაკავშირებით, შესაბამისი ცვლილება უნდა იქნეს შეტანილი საგადასახადო კოდექსში)

იურიდიული დახმარების იმ ზონებში, სადაც არ მოხდება მომწოდებლის გამოვლენა, იურიდიული დახმარების ბიუროს ქმნის იურიდიული დახმარების საბჭო. ამ შემთხვევაში იურიდიული დახმარების საბჭო კონკურსის საფუძველზე შეარჩევს ბიუროს ადვოკატებსა და პერსონალს.

იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატები ბიუროს სამოქმედო ტერიტორიის ფარგლებში ამ კანონით უფლებამოსილ პირებს შემდეგი ხასიათის იურიდიულ მომსახურებას უწევენ:
ა) გასცემენ იურიდიულ კონსულტაციას; ბ) ადგენენ სამართლებრივ დოკუმენტაციას; გ) წარმოადგენენ პირს წინასწარი გამოძიების დროს სისხლის სამართლის საქმეებზე; დ) წარმოადგენენ პირს სასამართლოში.

ბ. საქართველოს იურიდიული დახმარების სისტემის შემადგენელი დამატებითი სუბიექტები
სამეწარმეო სუბიექტები

სახელმწიფომ იურიდიულ ფირმას, სამეწარმეო სუბიექტს იურიდიული მომსახურების გარკვეული ნაწილის თავის თავზე აღების სანაცვლოდ გადასახადის გადახდისაგან გათავისუფლება შეიძლება შესთავაზოს. ამ შემთხვევაში აუცილებლად უნდა გამოირიცხოს იძულება და სისტემაში მონაწილეობა მხოლოდ და მხოლოდ სუბიექტის გადაწყვეტილების შედეგს უნდა წარმოადგენდეს.

ადვოკატები

კონცეფციის თანახმად, მიზანშეწონილად ჩაითვალოს ადვოკატთა შესახებ კანონში ცვლილების შეტანა, რომლის მიხედვითაც, თითოეულ პირს, რომელიც აღნიშნული კანონის მოთხოვნათა დაცვით სარგებლობს ადვოკატის სტატუსით, დაეკისრება საამისო უფლებამოსილების მქონე პირებისათვის უფასო სამართლებრივი მომსახურების გაწევის ვალდებულება.

კანონმა უნდა დააზუსტოს ამგვარი ვალდებულების მოცულობა და შემოფარგლოს საქმეთა ოპტიმალური რაოდენობითა და ვადით.

თითოეული ადვოკატი, რომელსაც ადვოკატთა შესახებ კანონის თანახმად ეკისრება უფასო იურიდიული მომსახურების გაწევის ვალდებულება, საქართველოს ერთიანი იურიდიული დახმარების სისტემის ნაწილია. საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია ადვოკატთა სიას გადასცემს იურიდიული დახმარების საბჭოს. იურიდიული დახმარების საბჭო იურიდიული დახმარების ბიუროებს მიაწვდის მათი სამოქმედო ტერიტორიის ფარგლებში დასაქმებულ ადვოკატთა სიას.

ადვოკატთა მიერ კანონით დაკისრებული ვალდებულების შესრულებაზე კონტროლს ადვოკატთა ასოციაცია ახორციელებს.

ამ თავით გათვალისწინებული სუბიექტები – ადვოკატები, თავიანთი ვალდებულების ფარგლებში, აგრეთვე სამეწარმეო სუბიექტები:

- წარმოადგენენ პირებს წინასწარი გამოძიების დროს სისხლის სამართლის საქმეებზე;
- წარმოადგენენ პირებს სასამართლოში.

პირები, რომელნიც უფლებამოსილნი არიან ისარგებლონ უფასო იურიდიული დახმარებით



PDF Complete
Your complimentary use period has ended.
Thank you for using PDF Complete.

[Click Here to upgrade to Unlimited Pages and Expanded Features](#)

აქეს, მოქალაქეობის არმქონე პირს, უცხო ქვეყნის მცხოვრებელს დადგენილ პირობებს, უფლება აქვთ ისარგებლონ ხარჯზე.

უზრუნველყოფილია სისხლის, სამოქალაქო და

ადმინისტრაციული სამართალწარმოების განმავლობაში.

სისხლის სამართალწარმოება

უფასო სამართლებრივი დახმარების მომავალი სქემა იზიარებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიდგომას და სავალდებულოდ მიიჩნევს დაცვის არსებობას სისხლის სამართალწარმოებაში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

დაკავებიდან პირველი 48 საათის განმავლობაში ტარდება ყველაზე მნიშვნელოვანი საპროცესო მოქმედებები, რომელთაც შეუძლიათ დაამძიმონ პირის მდგომარეობა. გარდა ამისა, დროის სწორედ ეს მონაკვეთი მოიცავს სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან კანონდარღვევათა ჩადენის ყველაზე დიდ რისკს, ამიტომაც თუ დაკავებულ ბრალდებულს არა ჰყავს დამცველი და მოითხოვს დახმარებას, ფინანსური მდგომარეობის შემოწმების გარეშე უნდა დაენიშნოს იგი სახელმწიფოს ხარჯზე, რომლის მომსახურებითაც ისარგებლებს სასამართლოში პირველი წარდგენის ჩათვლით.

სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოება

ამ შემთხვევაში სახელმწიფოს ხარჯზე ადვოკატი დაენიშნება ყველა გადახდისუუნარო პირს, თუ საქმის განხილვაში ადვოკატის მონაწილეობის აუცილებლობა მართლმსაჯულების ინტერესით არის განპირობებული. ამ შემთხვევაში ორიენტირად არა მინიმალური ხელფასის, არამედ საარსებო მინიმუმის ოდენობა უნდა იქნეს აღებული. თუმცა მდგომარეობის გაუმჯობესების პირობებში ბუნებრივია კანონის აღნიშნული დებულებები გადასინჯვას უნდა დაექვემდებაროს.

სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების განმავლობაში ადვოკატის სახელმწიფოს ხარჯზე დანიშნვის შესახებ განცხადება დაკმაყოფილდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქმის გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილია ამ საკითხზე საქმის სასამართლოში წარმართვა.

იურიდიული კლინიკა

კონცეფციის თანახმად, იურიდიული დახმარების საბჭო წახალისებს საუნივერსიტეტო იურიდიული კლინიკების საქმიანობას. კლინიკის სტუდენტებს უფლება ენიჭებათ ხელმძღვანელის მეთვალყურეობის ქვეშ კონსულტაციები გაუწიონ უფლებამოსილ პირებს და შეადგინოს სამართლებრივი დოკუმენტაცია.

იურიდიული დახმარების ბიუროს სტაჟიორი

იურიდიული დახმარების ბიუროში სტაჟირების გავლა შესაძლებელია ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მოთხოვნათა დაცვით. სტაჟირება იურიდიული დახმარების ბიუროში ითვლება შრომის საერთო და პროფესიული საქმიანობის სტაჟში.

იურიდიული განათლება და პროფესიული ტრენინგი

იურიდიული განათლების რეფორმირებისას უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი გარემოებები:

- განათლება არის არა ეტაპი, არამედ უწყვეტი პროცესი;
- ერთის მხრივ სახელმწიფოს ინტერესი დაარეგულიროს იურიდიული პროფესია, ხოლო, მეორეს მხრივ, აკადემიური თავისუფლებისა და საგანმანათლებლო დაწესებულების ავტონომიის პრინციპები უნდა იყოს დაბალანსებული;
- პროფესია და განათლება ურთიერთკავშირშია;
- იურიდიული განათლება არის იურისტის კვალიფიკაციის საფუძველი.

რეფორმის ძირითადი მიზნები და მიმართულებებია:

- იურიდიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

- პროფესიასა და განათლებას შორის მჭიდრო კავშირის დამყარება;
- იურისტის მოღვაწეობის მანძილზე პერიოდულად კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობის უზრუნველყოფა.

იურიდიული განათლების ხელმისაწვდომობა

უმაღლესი განათლების შესახებ კანონი განსაზღვრავს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტების მიღების წესსა და პირობებს. აღნიშნული სტანდარტები ვრცელდება იურიდიულ განათლებაზეც. იურიდიულ ფაკულტეტებსა და სასწავლებლებში მიღება იწარმოებს კანონით დადგენილი ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გზით. არსებული სისტემა გამჭვირვალე და ობიექტური გამოცდების ჩატარების გზით უზრუნველყოფს სტუდენტთათვის სახელმწიფო დაფინანსების მოპოვების თანაბარ შესაძლებლობას.

იურიდიული განათლების ორგანიზაცია

იურიდიული განათლება მოიცავს ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურებს. უმაღლესი განათლების შესახებ კანონით განისაზღვრა თითოეული საფეხურის წარმატებით დასრულებისათვის სავალდებულო კრედიტების რაოდენობა.

იურიდიულ განათლებას ორი მიმართლება გააჩნია - პრაქტიკაზე ორიენტირებული და აკადემიური. აკადემიური კარიერის მსურველთათვის, აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურების გავლა იქნება სავალდებულო.

თეორიული და პრაქტიკული განათლება

იურიდიული განათლება უნდა მოიცავდეს როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ სწავლებას. ამის შედეგად სტუდენტს თეორიულ ცოდნასთან ერთად პროფესიული უნარ-ჩვევებიც განუვითარდება. აკრედიტაციის ორგანო უნდა ადგენდეს მინიმალურ სტანდარტებს განათლების როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული კომპონენტებისათვის.

თეორიული განათლების სტანდარტები განისაზღვრება სახელმწიფო აკრედიტაციის ორგანოს მიერ და მოწმდება აკრედიტაციის პროცედურის საფუძველზე. თეორიული განათლება უნდა ითვალისწინებდეს სახელმწიფოში მოქმედი სამართლის ძირითადი დარგების სწავლებას, სასამართლოში საქმის წარმოების და ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობის წესებს.

პრაქტიკული სწავლების მიღების შესაძლებლობა მჭიდრო კავშირშია როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო იურიდიულ დაწესებულებებთან. იურიდიული განათლების რეფორმის ერთ-ერთი მთავარი მიზანია უნივერსიტეტებსა და პროფესიულ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობისთვის ხელის შეწყობა, რაც გააძლიერებს კავშირს განათლებასა და პროფესიას შორის. თანამშრომლობის ხელშეწყობა პრაქტიკული განათლების კომპონენტის უზრუნველყოფის მიზნით გულისხმობს პრაქტიკული მეცადინეობებისათვის სახელმწიფო დაფინანსების გამოყენების შესაძლებლობას როგორც სახელმწიფო, ასევე აკრედიტირებულ კერძო დაწესებულებებში. პრაქტიკული განათლების მიღება შესაძლებელია განხორციელდეს აკრედიტირებული უნივერსიტეტების იურიდიულ კლინიკებშიც.

იურიდიული განათლება და სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებები

იურიდიული განათლება საშუალებას უნდა აძლევდეს სტუდენტს შეიძინოს ცოდნა სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებების შესახებ. კონცეფცია ითვალისწინებს ამის შესაძლებლობას ინტერდისციპლინარული სწავლების კურსების მეშვეობით.

სწავლების მეთოდიკა

სწავლების მეთოდიკის შერჩევა განეკუთვნება იურიდიული სასწავლებლების თავისუფალ აკადემიურ სფეროს და შესაბამისად წარმოდგენილი კონცეფცია არ ადგენს ზუსტ მითითებებს ამ საკითხთან დაკავშირებით, თუმცა ითვალისწინებს სწავლებისას ინტერაქტიული მეთოდების დანერგვის აუცილებლობას.

წვდომისა და მობილურობის ასამაღლებლად, კონცეფცია შესაძლებლობას. განათლების კონვერსია უფლებას აძლევს ისტ პირს, ერთი წლის განმავლობაში სპეციალურად

აკრედიტირებული სასწავლო გეგმის საფუძველზე გაიაროს დაჩქარებული იურიდიული მომზადების კურსი და მიიღოს იურიდიული ბაკალავრიატის ხარისხი.

აკრედიტაციის სრული სისტემა

აკრედიტაციის ორგანო

იურიდიული სასწავლებლების აკრედიტაციას ახორციელებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან არსებული აკრედიტაციის ორგანო. აკრედიტაციის ორგანოს საქმიანობის პრინციპები და შინაარსი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

უნდა არსებობდეს ფორმალური და ეფექტური საშუალებები:

- სამართლის პროგრამების მიღება-დამტკიცებისათვის;
- მათი ეფექტურობის შემოწმების შემდგომი მონიტორინგისა და სტუდენტის მიერ სწავლების დასახული შედეგების მიღწევის შეფასებისათვის;
- ამ მიზნებისა და შედეგების ვარგისიანობის მუდმივი შემოწმებისათვის.

ეს წესები განსაზღვრავენ პროგრამის დამტკიცების, მონიტორინგისა და გადასინჯვის პროცედურებს, ასევე ამ პროცედურების დახვეწის საშუალებებს.

აკრედიტაცია

აკრედიტაციის ორგანო მოახდენს იურიდიული განათლების ინსტიტუტების სასწავლო პროგრამების შინაარსის, ხარისხისა და სტანდარტების შემოწმებას, ასევე განათლების მისაღებად საჭირო ბაზის არსებობას. შემოწმება ჩატარდება ყოველ სამ წელიწადში ერთხელ.

მარეგულირებელი ორგანო

მარეგულირებელი ორგანო განსაზღვრავს შემდეგს:

1. იურიდიული განათლების შინაარსს;
2. თითოეული საგნის სასწავლო გეგმის სტანდარტებს;
3. აკადემიური პრაქტიკის სახელმძღვანელო პრინციპებს;
4. კვალიფიკაციის შეფასების ფარგლებს, რათა განისაზღვროს სწავლების დასახული შედეგები სწავლების სხვადასხვა ეტაპზე;
5. მინიმალურ რესურსებს საკვალიფიკაციო სამართლებრივი ხარისხების აუცილებელი სტანდარტის უზრუნველსაყოფად;
6. სანქციებს, რომლებიც გამოიყენება მარეგულირებელი ორგანოს სტანდარტებთან შეუსაბამობის შემთხვევაში.

იურიდიული განათლება და იურიდიული პროფესია

იურიდიული პრაქტიკა შესაძლებელია ხორციელდებოდეს როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო ინსტიტუტებში და სასამართლოში წარმომადგენლობით. იურიდიული პრაქტიკის უფლების მოსაპოვებლად სავალდებულო იქნება სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

სასერტიფიკაციო გამოცდას ორგანიზებას უწევს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იურისტთა პროფესიულ ორგანოებთან თანამშრომლობით. გამოცდა ერთიანია მოსამართლის, ადვოკატის და პროკურორის კანდიდატებისათვის. იურიდიული განათლების მქონე პირს სასერტიფიკაციო გამოცდის გარეშე უფლება ექნება იმუშაოს იურისტად სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებებში, მონაწილეობა მიიღოს მედიაციაში, კონტრაქტების, იურიდიული დოკუმენტების მომზადებაში და ა.შ.

სასამართლოში წარმომადგენლობის უფლების მოსაპოვებლად სავალდებულო იქნება:

- უმაღლესი იურიდიული განათლება (ბაკალავრის ხარისხი);
- სტაჟირების ერთწლიანი კურსი დაცვის (ადვოკატურის) ან სახელმწიფო ბრალმდებლის (პროკურატურის) სისტემაში;
- სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.
მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად სავალდებულო იქნება:
- უმაღლესი იურიდიული განათლება (ბაკალავრის ხარისხი);



Your complimentary
use period has ended.
Thank you for using
PDF Complete.

აქცის (ადვოკატურის) ან სახელმწიფო ბრალმძღობის

[Click Here to upgrade to
Unlimited Pages and Expanded Features](#)

- ა-წლიანი პროფესიული გამოცდილება;
- იუსტიციის უმაღლეს სკოლაში ან სხვა აკრედიტირებულ დაწესებულებაში სავალდებულო ცურსის გავლა.
ნოტარიუსის თანამდებობის დასაკავებლად სავალდებულო იქნება;
- უმაღლესი იურიდიული განათლება (ბაკალავრის ხარისხი);
- სტაჟირების ერთწლიანი კურსი ნოტარიატის სისტემაში;
- სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.
კერძო სტრუქტურებში სტაჟირების კურსის გავლა დაფინანსდება კანდიდატის მიერ, ხოლო სახელმწიფო ინსტიტუტებში – სახელმწიფოს მიერ.

სიცოცხლის მანძილზე განათლების შესაძლებლობები
კარიერის მანძილზე, იურიდიული პრაქტიკის უფლების შენარჩუნების მიზნით, სერტიფიკატის მფლობელი ვალდებულია ყოველწლიურად გაიაროს განგრძობადი პროფესიული დახელოვნების კურსი. განგრძობადი პროფესიული დახელოვნება გულისხმობს ყოველწლიურად კრედიტების განსაზღვრული რაოდენობის დაგროვების მოთხოვნას. პროფესიული დახელოვნების კურსებს შესაძლოა ახორციელებდნენ იუსტიციის უმაღლესი სკოლა, აკრედიტირებული დაწესებულება ან იურიდიული სასწავლებელი, ასევე პროფესიული ორგანოები.
სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიული დახელოვნების კურსების ხელმისაწვდომობა სახელმწიფო სექტორში მოღვაწე სერტიფიკატის მქონე პირთათვის. ამ შემთხვევაში, კურსებში მონაწილეობასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო.
სერტიფიკატის მფლობელი ვალდებულია იქონიოს მის მიერ გავლილი განგრძობადი პროფესიული დახელოვნების კურსების ზუსტი ნუსხა, რომელიც შესაძლებელია შემოწმებულ იქნეს შესაბამისი პროფესიული ორგანოს მიერ. ამ მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა. მათთან შეუსაბამობა გამოიწვევს დისციპლინურ პასუხისმგებლობას და შედეგად შესაძლოა შეჩერებული ან ჩამორთმეული იქნეს იურიდიული პრაქტიკის წარმოების უფლება.